

ივანე  
ჯავახიშვილის  
სახელობის  
თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გაზეთი  
გამოდის  
1927 წლიდან

უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი  
მიძღვნილი საიუბილეო კვირეული  
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამართა

ლექსიონი




# უნივერსიტეტი

11

ივლისი, პარასკევი, 2008 წ. №10 (2077)

ფასი 30 თეთრი

## წარმომადგენლობითმა საბჭომ ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებები ერთხმად დაამტკიცა



2 ივლისს თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ჰუმანიტარული ფაკულტეტისთვის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის სახ-

ელწოდების მინიჭების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს წინადადების განხილვა, ასევე, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა განხილვა-დამტკიცება და უნივერსიტეტის შინაგანაწესის,

ეთიკის კოდექსისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების შემუშავებული დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა. იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს ჰუმანიტარული ფაკულტეტისთვის სახელწოდების შეცვლის გადაწყვეტილება ადრევე ჰქონდათ მიღებული, რაც უნივერსიტეტის წესდებამაც აისახა, ამ საკითხის განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა. რაც შეეხება დებულებების განხილვის საკითხს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზ გალდავამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებები დასამტკიცებლად წარუდგინა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სხდომას აკადემიური საბჭოს წევრები ესწრებოდნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა განხილვის პროცესში. დებულებების პროექტების გაცნობა ყველა დაინტერესებულ პირს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შეეძლო. ადმინ-

ისტრაციამ პროექტების განხილვამდე რამდენიმე დღით ადრე ისინი ვებ-გვერდზე სწორედ იმ მიზნით განათავსა, რომ წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებს საკუთარი მოსაზრებებისა და კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა ჰქონოდათ. სხდომაზე გამოითქვა რამდენიმე შენიშვნა, რაც წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის კახა ლორიას თქმით, დებულებებში აისახება. სტრუქტურული ერთეულების რიგ დებულებებში ცვლილებების შეტანის გათვალისწინებით წარმომადგენლობითმა საბჭომ წარმოდგენილი დებულებები ერთხმად დაამტკიცა. საბჭოს წევრები ასევე ჩამოყალიბდნენ უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმების შემუშავებული დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებითაც. სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან საბჭოს თითო-თითო წევრი ფაკულტეტებიდან და ორი სტუდენტი, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობას უკვე შეუდგება.

სასფ-მა 37  
პრეზიდენტის  
ბრანტიორი  
გამოავლინა,  
რომელთა შორის  
10 თსუ-ის  
წარმომადგენელია

გვ-2 გვერდზე

თსუ-ის პირველსა  
და მეორე  
კორპუსებში  
სარიემონტო  
სამუშაოები იწყება

გვ-3 გვერდზე

საერთაშორისო  
„ეტალონი“ ხელს  
შეუწყობს  
სხვადასხვა  
ქვეყნის  
სტუდენტების  
ქართულ  
სტუდენტებთან  
დაახლოებას

გვ-4 გვერდზე

საპრეზიდენტო და  
საპარლამენტო  
არჩევნები  
დამკვირვებელ  
სტუდენტთა  
თვალით

გვ-9 გვერდზე

საჭიროა ქართული  
კულტურის მიტი  
პოპულარიზაცია

გვ-14 გვერდზე

რამდენად უნდა  
მოახდინოს ნაფიც  
მსაჯულთა  
ინსტიტუტმა  
ბავლენა  
სასამართლო  
პროცესზე?

გვ-14 გვერდზე

## ქურნალისტიკის მეორად სპეციალობად გადაკეთებას თსუ-ში არავინ აპირებს

### „ნუ ვეძებთ „კუდიანებს“ ყველგან“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 24 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტიკის კოლექტიური მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი — „გადავიჩინეთ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი“, რომელშიც ავტორები აცხადებენ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკა მეორად სპეციალობად უნდა გადაკეთდეს. ისინი პრეზიდენტს მიმართავენ: „გთხოვთ არ დაუშვათ ამგვარი განზრახვის აღსრულება და მიიღოთ ზომები იმისთვის, რომ ჟურნალისტიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულყოფილი სპეციალობად დარჩეს და აღმა-მატერს ღირსეული პროფესორებიც დროულად დაუბრუნდნენ“.

#### თამარ მარუაშვილი

წერილი დასმული საკითხის გასარკვევად ჩვენ მივმართეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ნოდარ ბელქანიას, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: „რეფორმა სწორედ ის რომ პანაცეა დრომოჭმული სტერეოტიპების დასაწვდომად, მაგრამ ის არ არის სტანდარტი, რომელიც ერთი ხელის მოსმით წყვეტს ყველა მტკიცებულ საკითხს. ამ მოსაზრების სისწორეში განვილომა წლებმა და მიმდინარე პროცესებმა დაგვარწმუნა. უმაღლესი განათლების რეფორმამ წინააღმდეგობების დაძლევის ფონზე ძირითადი ხაზი უკვე გამოკვეთა — სწავლების ევროპული

სტანდარტების დამკვიდრება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და პრობლემის ბაზრის პროფესიონალებით დაკომპლექტება. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ მიმდინარეობს გზების ძიება — იცვლება სასწავლო პროგრამები, მოდულური, სწავლების ხერხები და მეთოდები, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლების ახალი მეთოდები სამი წელია დაინერგა. განვლილმა დრომ და სტუდენტებთან ახალი მეთოდებით მუშაობის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დასვა სასწავლო პროგრამებისა და მოდულულების განახლების აუცილებლობა. გზების ძიებას თავისთავად მოჰყვა წინააღმდეგობები და აზრთა სხვადასხვაობა. მოსაზრებათა ავ-

ტორებს ერთი განზრახვა აქვთ — უკეთესი და უფრო მოქნილი გახადონ სწავლების პროცესი ჟურნალისტიკის მიმართულებაზე. წერილის ავტორებს მინდა ვუთხრა, რომ ბაკალავრიატის დონეზე ჟურნალისტიკის პროგრამის გაუქმებაზე ლაპარაკი არასოდეს ყოფილა. ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს შორის გაიმართა დისკუსია სწავლების პროცესის განახლებასთან დაკავშირებით და რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა. მათ შორის, ერთ-ერთი იყო მაგისტრატურის გაფართოების ხარჯზე ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის დამატებითი სპეციალობად, ანუ მაინორ პროგრამად დატოვება, რადგან სპეციალისტს მაგისტრატურა აყალიბებს, მაგრამ ეს აზრი მხოლოდ დისკუსიის დონეზე დარჩა. სწავლების პროცესს რომ დახვეწა, განახლება და გამრავალფეროვნება სჭირდება, ეს ეჭვქვეშ არც ერთი მოსაზრების ავტორს არ დაუყვევია. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, აქვს კონცეფცია — ხანგრძლივი ტრადიციის მქონე სპეციალობები კი არ გაუქმდეს, არამედ გაძლიერდეს და განახლდეს.

საერთოდ, საზოგადოების საყრდენად მინდა ვთქვა — ნუ გვემინია დისკუსიების და ნუ ვეძებთ „კუდიანებს“ ყველგან. უნივერსიტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელი დაინტერესებულია, რომ სწავლების მეთოდები დაიხვეწოს და ამ მიმართულებაზე პროფესიონალები აღიზარდონ. უნივერსიტეტში არ მეფულება პედაგოგი და თანამშრომელი, რომელსაც რომელიმე სპეციალობის განადგურება ჰქონდეს განზრახული. ილიას უყვარდა ლაიბნიცის ეს გამოთქმა — „ანწყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ — ამ გამოთქმის არსი ისაა, რომ, როცა წარსულს კარგავ, კარგავ მომავალსაც. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარსულში ჩავრჩეთ. წარსულს სჭირდება მეტამორფოზა, რომელიც ყველა მხარისთვის მიიმეა. რაც შეეხება ღვანლმოსილი პროფესორების დაბრუნებას, აქ საკანონმდებლო მოთხოვნებია გასათვალისწინებელი: ყველამ იცის, რომ გარკვეული მორატორიუმი ადევს ასაკობრივ ზღვარს. ჩვენ დაინტერესებული ვართ კომპეტენტური სპეციალისტების მიღებით და აკადემიურ კონკურსში მონაწილეობა შეზღუდული არავისთვის არ არის, თუ მას კანონმდებლობა მხარს უჭერს“.

# საქართველო-სა 37 პრეზიდენტის ბრანტიორი გამოავლინა, რომელთა შორის 10 თსუ-ის წარმომადგენელია

29 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2007 წელს გამოცხადებული პროგრამის — ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მიმღებთა დაჯილდოების ცერემონია, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია, ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ნათია ჯოხაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ფრიდონ თოდუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გივი თევზაძე და სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები. ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა, კონკურსის შედეგად, წელს პირველად გამოავლინა 37 პრეზიდენტის გრანტიორი ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთა შორის 10 თსუ-ის წარმომადგენელია. ესენი არიან: მირიან მახარაძე (თემა: „ჩილდრის ვილეთის მოკლე დავთარი“), მაია მესტიერიშვილი (თემა: „აშკარა და დაფარული სტიგმა სოციალურ უმცირესობებში“), მაია გაბრავა (თემა: „სტერეოტიპების ფუნქციები, არასაერთაშორისო კონფლიქტის მონაწილე სუბიექტების ეთნიკური სტერეოტიპები“), გიული შაბაშვილი (თემა: კომპიუტერული კონვერტიცია და ქართული ზმნური კონსტრუქციების მანქანური მოდელი“), ზურაბ კილურაძე (თემა: „არანრ-ფიგ ინტეგრირებული დიფერენციალური განტოლებათა ზოგიერთი სისტემის გამოკვლევა და რიცხვითი ამოხსნა“), გიორგი ქულიძე (თემა: „კომპაქტური ვექტორული შეჯამებადობა და გადასაცვლებადი ბანახ-საქსის თვისება“), ანა დანელია (თემა: „ანალიზის ზოგიერთი საკითხი ფრაქტალურ სიმრავლეებზე“), მაგდა ცინცაძე (თემა: „არამკაფიო ინფორმაციის დამუშავების მათემატიკური თეორია“), შორენა სამაკაშვილი (თემა: „მოდულირებული მონოლითური კვარცის სვეტების მომზადება ჩონჩხისა და გამტარი ფორების რეგულირებით ენანტიომერული ნარეგების დაყოფის პროცესების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების კვლევის მიზნით“), ნოდარ სურგულაძე (თემა: „ბირთვული ფერტილისა და მისი პოსტტრანსლაციური მოდიფიკაციის როლის შესწავლა უმაღლეს ეუკარიოტებში“).

## ნიმუ კაკულია



კონკურსის შედეგად, ინდივიდუალური და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასების საფუძველზე, ფონდმა, როგორც აღვინიშნეთ, წელს 37 პროექტი დააფინანსა. პროექტის საერთო ბიუჯეტი 492 545 ლარია, თითოეული გრანტის მაქსიმალური ოდენობა კი წელიწადში 15 000 ლარი. რაც შეეხება გრანტების გადანაწილებას მიმართულებებს, ქართველოლოგიური მეცნიერებების მიმართულებით 5 პროექტი დაფინანსდა, ჰუმანიტარულ-

ლი, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით — 10 პროექტი, მათემატიკა, მექანიკა, ტელეკომუნიკაციები, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით — 6 პროექტი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით — 2 პროექტი, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების და გარემოს მიმართულებით — 6 პროექტი, სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებების მიმართულებით — 5 პროექტი, საინფორმაციო მეცნიერებების, მაღალტექნოლოგიური მასალების მიმართულებით — 2 პროექტი, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით — 1 პროექტი.

აღნიშნული სამეცნიერო კონკურსის ფარგლებში 37-ვე პროექტზე სამეცნიერო პროექტების განხორციელება უკვე დაწყებულია.

შეხვედრის დასასრულს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა 2008 წლისთვის ანალოგიური პროგრამის ფარგლებში ახალი კონკურსი გამოაცხადა. ახალგაზრდა მეცნიერებს შესაძლებლობა ექნებათ 2008 წელს ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში ჩაატარონ კვლევები, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ფორუმში, შეიძინონ სამეცნიერო და საოფისე აპარატურა და პროექტის განსახორციელებლად ანაზღაურებით მოიწვიონ სხვადასხვა ტექნიკური და დამხმარე პერსონალი.

წყობს საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების მიმღებთა დაჯილდოების ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გია ნოდია ახალგაზრდა მეცნიერებს პრეზიდენტის სახელით გადასცა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი სერტიფიკატები და მათ სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერა აღუთქვა. როგორც მოგეხსენებათ, კონკურსის მიზანია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა საგრანტო დაფინანსების გზით.

შეხვედრის დასასრულს, ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა 2008 წლისთვის ანალოგიური პროგრამის ფარგლებში ახალი კონკურსი გამოაცხადა. ახალგაზრდა მეცნიერებს შესაძლებლობა ექნებათ 2008 წელს ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში ჩაატარონ კვლევები, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ფორუმში, შეიძინონ სამეცნიერო და საოფისე აპარატურა და პროექტის განსახორციელებლად ანაზღაურებით მოიწვიონ სხვადასხვა ტექნიკური და დამხმარე პერსონალი.



## ნელა სახელმწიფოს დაფინანსებით საზღვარგარეთის ნამყვან უნივერსიტეტებში განათლებას 100 ქართველი სტუდენტი მიიღებს

30 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმის უნივერსიტეტში პრეზიდენტის სტიპენდიატებს შეხვდა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, განვითარებისა და განათლების ფონდი სტუდენტების სწავლა-განათლებას დასავლეთისა და მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში უკვე მე-4 წელია აფინანსებს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ნელა სახელმწიფოს დაფინანსებით საზღვარგარეთის ნამყვან უნივერსიტეტებში განათლებას 100 ქართველი სტუდენტი მიიღებს. მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსათვის პრიორიტეტულ სპეციალობებზე და განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფო მართვის სპეციალისტებთან ერთად კონკრეტული სფეროს სპეციალისტებიც ესაჭიროება. „მინდა მოვუწოდო ყველას, წავიდეს სამუშაოდ იმ სფეროში, რომლებიც პრიორიტეტულია დღეს საქართველოსთვის. არქიტექტურაში, მედიცინაში, საინჟინრო სფეროში, სოფლის მეურნეობის სფეროში ჩვენ გვჭირდება კვალიფიციური კადრები“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

## ნატოს პროგრამის ფარგლებში გაიმართა სემინარი — „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის — მონიწივე სწავლების კურსი“

30 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნატოს პროგრამის ფარგლებში გაიმართა სემინარი — „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის — მონიწივე სწავლების კურსი“, რომელიც მიეძღვნა თემას: „საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკა, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ხელშეწყობის საშუალება“. სემინარის ორგანიზატორები გახლდნენ: ესტონეთის სამეცნიერო ფონდი „არქიმედესი“ და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

თველოში და საერთოდ სამხრეთ კავკასიაში პირველად გაიმართა. გადაჭარბებული არ იქნება, თუკი სემინარს განვიხილავთ როგორც ნატო-სა და საქართველოს შორის უკანასკნელ წლებში მიმდინარე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების ხელშეწყობა ღონისძიებად. სემინარზე ნატო-ს წევრი ქვეყნების ექსპერტებმა ისაუბრეს უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე ასპექტებზე, როგორც მათ ქვეყნებში, ისე მთლიანად ევროატლანტიკურ სივრცეში. დისკუსია გაიმართა ამ პროცესში მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების მრავალმხრივ და მნიშვნელოვან როლზეც. სემინარის პირველად დღემ საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. გამოითქვა იმედი, რომ სემინარის თემატიკა, კონკრეტული ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები სასარგებლო იქნება მასში მონაწილე მეცნიერთათვის, გადწყვეტილების მიმღებ პირთათვის, თავდაცვისა და მრეწველობის სფეროს წარმომადგენელთათვის... სემინარმა მუშაობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გააგრძელა.

### თამარ მარუაშვილი

სემინარის მუშაობაში, გარდა ქართველი და ესტონელი მეცნიერებისა და ექსპერტებისა, მონაწილეობა მიიღეს ინგლისელმა, ბერძენმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა კოლეგებმა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება, რომლის უმთავრესი მიზანია ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის უკეთ გამოყენება უსაფრთხოების სისტემის განვითარებისთვის, საქარ-



## დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

25 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუაძემ და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი შოენაძემ ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

### შურთსია ბაროშვილი

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მემორანდუმი ითვალისწინებს სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების პროფესიული პროგრამის — „ეკოლოგია, ბიო-გეოგრაფია და ისტორიული გეოლოგია“ საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფას. დაცული ტერიტორიების სააგენტო შესაძლებლობის ფარგლებში განხორციელებს უნივერ-



სიტეტის სტუდენტების პროფესიულ პრაქტიკასა და შრომით საქმიანობაში ჩართვას. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებულ

სამეცნიერო კვლევებში ჩაერთვებიან დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლები და კვლევის შედეგებს წარადგენენ სააგენტოში მონაცემთა ბაზის შესავსებად.

დაცული ტერიტორიების რესურსების სპეციალისტებს შესაძლებლობა მიეცემათ ისარგებლონ უნივერსიტეტის ლაბორატორიებითა და კვლევისთვის საჭირო ლიტერატურით.

როგორც შეხვედრაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სტუდენტს მეტი მოტივაცია აქვს პროფესიული უნარ-ჩვევების დასახვეწად.

„ვიმედოვნებ, ერთმანეთისთვის საიმედო პარტნიორები ვიქნებით და მრავალ ერთობლივ პროექტს განვახორციელებთ“, — აღნიშნა გიორგი ხუბუაძე.

# თსუ-ის პირველსა და მეორე კორპუსებში სარემონტო სამუშაოები იწყება

1 ივლისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველსა და მეორე კორპუსებში სარემონტო სამუშაოები იწყება. უნივერსიტეტის ისტორიული იერ-სახე დაუზრუნდება და ამით მავანთა მითქმა-მოთქმას უნივერსიტეტის შენობის გაყიდვის თუ მისი მხოლოდ მუზეუმად გადაკეთების მცდელობის შესახებ ნერტილი დაესმება. ვალაშა ზდება და კეთილმოეწყობა უნივერსიტეტის პანთეონიც, რომლის გადატანის გეგმა ზეც ჭორებს აყოლილნი არაერთხელ საუბრობდნენ. ასე რომ, მინიმუმ ნელინდ-ნახევარში უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსები აბსოლუტურად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი იქნება. თსუ-ში სარემონტო სამუშაოებს მთლიანად ჯგუფი „ქართუ“ ახორციელებს, რომელმაც ამ სასიკეთო საქმისთვის 20 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს, არსებობის დღიდან მოყოლებული, ასეთი მასშტაბის სამუშაოები არასდროს ჩაუტარებია. უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ რემონტის დაწყებით სასწავლო პროცესს ხელი არ შეეშლება, თუმცა სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე ლექციებზე დასწრება სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში მოუწევთ.

## ინოვაციური

თსუ-ის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას თქმით, პირველი კორპუსის სრული რეაბილიტაცია ივლისში დაიწყება. რემონტი ფიზიკურ-ფიზიკურ გაკეთდება. აქ გამოიყენება ყველაფერი — სახურავიდან დაწყებული იატაკით დამთავრებული. სამუშაოების ნუსხა უკვე დამტკიცებულია, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობის, სახურავის, სააქტო დარბაზის, მუზეუმისა და უნივერსიტეტის ეზოს საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ასევე ახალი ბიბლიოთეკისა და ავტოსადგომის მშენებლობა, — აღნიშნა რექტორმა. მისი თქმით, უნივერსიტეტის შენობის ისტორიული სახე შენარჩუნდება.

„ბუნებრივია, ჩვენ გავითვალისწინებთ შენობის პირვანდელ მდგომარეობას. გვინდა, რომ შენობას ისტორიული სახე დავუბრუნოთ. მაგალითად, ვგეგმავთ, რომ პირველი კორპუსის ფანჯრები დარჩეს იმავე ფერის, ანუ ნაცრისფერი, როგორც მისი აშენების დროს იყო. მოვიპოვებ ნახაზებს, სადაც მითითებულია, რომ მეორე სართულზე არსებული უგემოვნო ოთახები პირვანდელ იერ-სახეში გათვალისწინებული არ იყო. ისინი კომუნისტებმა თავისთვის პარტკომის ოთახებად გადააკეთეს. სწორედ ამ ოთახების გაუქმება მოხდა. მათ ადგილს უნივერსიტეტის მუზეუმი დაიკავებს. შედეგად გამოჩნდა გუმბათი, რაც ძალიან შთაბეჭდავია. პირველად გაიხსნება უნივერსიტეტის მუზეუმი. ეს არის 800 კვადრატული მეტრის ფართი, სადაც

გაიხსნება არა მარტო საუნივერსიტეტო ისტორიის მომცველი მუზეუმი, არამედ მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო განათლების კერა.

მოხდება, ასევე, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის რეკონსტრუქცია. სააქტო დარბაზი გათვლილია 800 ადამიანზე, ანუ საკმაოდ დიდი მოცულობისაა. სააქტო დარბაზი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რაც უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ღონისძიებების მასშტაბის საშუალებას მისცემს. განვახლებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზსაც. ჰუმანიტარულ ფაკულტეტს დაახლოებით 1000 კვადრატულ მეტრზე განთავსებული ექნება ულტრათანამედროვე აღჭურვილობის მქონე ბიბლიოთეკა. ასევე, დაგეგმილია 11 000 კვადრატული მეტრის ფართობი სააუდიტორიო ოთახების რეკონსტრუქცია. გარდა ამისა, გვინდა, პირველ კორპუსს უფრო პომპეზური სახე მივცეთ. ამ თემაზე რესტავრატორებთან კონსულტაციები მიმდინარეობს, — აღნიშნა რექტორმა. მისივე თქმით, უნივერსიტეტს გამაგრებითი სამუშაოებიც ჩაუტარდება. პირველი კორპუსის ეზოში კეთილმოეწყობა პანთეონი. ეზო გაიწვობა ფილებით და დაირგვება მწვანე ნარგავები. შიდა ეზოდან ავტოსადგომი შენობის გარეთ გავა. გაკეთდება გათბობისა და მაკონდიციონერული საშუალებები თანამედროვე სტანდარტით.

„დავინყებთ პირველი კორპუსით, რამდენიმე თვის შემდეგ კი სარემონტო სამუშაოები მეორე კორპუსშიც დაიწყება, სადაც

დაახლოებით 20 000 კვადრატული მეტრის სააუდიტორიო ფართის სრული რეაბილიტაციაა დაგეგმილი. მომავალში პირველ და მეორე კორპუსებში განთავსდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები, დანარჩენი ფაკულტეტები კი საუნივერსიტეტო ქალაქში — მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავა“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ. რექტორმა ლაბორატორია-დანადგარების დაუზიანებლობაზეც ისაუბრა. „უნივერსიტეტის არამც თუ დანადგარი, არც ერთი ინვენტარი არ დაზიანდება. ჩვენ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დროს აბსოლუტურად უზრუნველვყოფთ ქონების უსაფრთხოებას. ამ თვალსაზრისით, შემძლია დაგარანმუნოთ, რომ უნივერსიტეტის ლაბორატორიებს არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, უკვე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები საუნივერსიტეტო ქალაქის — კამპუსის ასაშენებლად. იგი მაღლივ კორპუსში განთავსდება. სწორედ ამ საუნივერსიტეტო ქალაქში გადავა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები. მომავალში ყველა ლაბორატორია განთავსდება მაღლივ კორპუსში არა იმ სახით, როგორც დღეს გვაქვს (სადაც საჭირო ხელსაწყოები არ აქვთ), არამედ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, — აღნიშნა რექტორმა.



# თსუ-ში ისრაელის ცენტრი გაიხსნა

25 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ისრაელის ცენტრი გაიხსნა, სადაც აღნიშნული ინიციატივის განმხორციელებლის, საქართველოში ისრაელის ელჩის შაბთაი ცურის ქვეყნიდან ვაც-ილება ციმბორულად აღინიშნა.

## სათუნა ხატიავილი

საქართველოში დიპლომატიის მისიის შესრულების პერიოდში, თსუ-სთან განსაკუთრებული თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის შაბთაი ცური საბატიო სიგელით და ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა. ისრაელის ელჩმა საქართველოში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი ხუბუას გადასცა სიგელი ისრაელსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის.

როგორც მან ისრაელის ცენტრის გახსნაზე აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ აშკელონის მერი გახდება, პირველი დელეგაცია, რომელსაც იგი მიიწვევს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იქნება.

რექტორმა გიორგი ხუბუამ აღნიშნა, რომ ცენტრში სასწავლო კურსის გარდა, საჯარო ლექციებიც ჩატარდება. ეს იქნება აუდიტორია, სადაც სტუდენტი, პროფესორი თუ უცხო სტუმარი ებრაულ სულს შეიგრძნობს.

„ძალიან გვინდა, რომ აუდიტორიის თითოეული სანტიმეტრი მეტყველებდეს ისრაელზე და იმ ურთიერთობის უწყვეტობაზე, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხს ისტორიულად დიდ ნარმატებებს მიაღწია, რაც საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. ისრაელი სახელმწიფოდ დაარსებიდან მეექვსე დღეს ომში ჩაება და გაიმარჯვა,“ — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.

რად დიდ ნარმატებებს მიაღწია, რაც საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს. ისრაელი სახელმწიფოდ დაარსებიდან მეექვსე დღეს ომში ჩაება და გაიმარჯვა,“ — აღნიშნა გიორგი ხუბუამ.



თსუ-ში ებრაული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან ორნაირი ურთიერთობების პერიოდში გადადგმული ყველა ნაბიჯის გახსენების გარდა, გულის დაწყვეტაც გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ შაბთაი ცურის ელჩობის ვადა

ამოიწურა. „ორი წლის განმავლობაში მთელი მისი ოჯახი უნივერსიტეტის გამორჩეული მეგობარი იყო. ამის მიუხედავად, ისრაელის უნივერსიტეტებიდან თსუ-ში ბევრი სტუმარი მაინც ჩამოვა, ნაკითხავი საჯარო ლექციებს და გაგრძელდება ორმხრივი თანამშრომლობა,“ — ითქვა ცერემონიაზე.

თავად შაბთაი ცურმა განაცხადა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისრაელის ცენტრის გახსნით ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიული გზა მხოლოდ ფართოვდება და ეს ფაქტიც ამის მორიგი დადასტურებაა. მან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და აკადემიურ წრეს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ თსუ-ში ისრაელიდან უამრავი ექსპერტი ჩამოვა.

„სწორედ ეს ადგილი უნდა გადაიქცეს იმ ცენტრად, სადაც ქართველი ახალგაზრდა თაობა ისრაელის ისტორიას და ამ სახელმწიფოს ისტორიასთან და თანამედროვეობასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს შეისწავლის,“ — აღნიშნა შაბთაი ცურმა.

ღონისძიებაზე განსაკუთრებულად აღნიშნა ისიც, რომ 9 მაისს, ისრაელის სახელმწიფოებრივი დღის აღსანიშნავად, თსუ-ის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე დარგულმა 60-მა ძირმა იერუსალიმის ფიჭვებმა უკვე გაიხარა. ორი ქვეყნის მეგობრობის სიმბოლოდ საფუძველჩაყრილ ხეივანს კარგი მომავალი აქვს.

„ყველა ხე ძლიერი იზრდება მაშინ, როცა მას ძლიერი ფესვები აქვს,“ — ითქვა ღონისძიებაზე.

თსუ-ში ებრაული კუთხის გახსნიდან რამდენიმე დღეში ისრაელის უკვე ყოფილმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა და მისმა ოჯახმა საქართველო დატოვა.

# თსუ-ს ევროპის რეგიონის ასამბლეის ბენერალური მდივანი ესტუმრა

20 ივნისს ევროპის რეგიონის ასამბლეის გენერალური მდივანი კლაუს კლიპი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია და სასწავლებლის ხელმძღვანელობასა და სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებს შეხვდა.

## შურთსია ბაროშვილი

ევროპის რეგიონის ასამბლეის გენერალური მდივანს უნივერსიტეტის პრობლემებზე და მის მომავალ პერსპექტივებზე ესაუბრნენ: თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გულნაზ გალდავა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი დავით კერესელიძე, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა ტურავა, სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იაგორ კალანდაძე, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები: მაია მენთეშაშვილი და სალომე შედანიანი, ასევე, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები და მისი ახალი პრეზიდენტი გიორგი შამათავა.

როგორც უნივერსიტეტის კანცლერმა გულნაზ გალდავამ აღნიშნა, ევროპის რეგიონის ასამბლეის გენერალური მდივანს კლაუს კლიპს საუბრისას აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დღესაც უამრავი პრობლემაა, მაგრამ მდგომარეობა დღითიდღე სასიკეთოდ იცვლება. „უნივერსიტეტში, სადაც 20 ათასი სტუდენტი სწავლობს, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მხოლოდ ათი კომპიუტერი იყო. ამჟამად კი შექმნილია კომპიუტერული და მულტიმედია უნივერსიტეტი... უნივერსიტეტი იღვწის, რათა რეგიონალური სივრცის ლიდერი გახდეს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კომერციული სასწავლებელი ცდილობს სერიოზული კონკურენცია გაგვიწიოს. ჩვენ დიდი მხარდაჭერა გვაქვს საერთა-



შეხვედრაზე სასწავლო დეპარტამენტის უფროსმა თინათინ მარგალიტაძემ ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომლებიც უნივერსიტეტში საკმაოდ მტკივნეულად გატარდა. მისი ინფორმაციით, თსუ-ის 22 ფაკულტეტი გაერთიანდა და მათ ბაზაზე 6 ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, დაინერგა სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, შეიცვალა სასწავლო პროგრამები.

„როდესაც უნივერსიტეტში პირველად დაინერგა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, თითქმის არავის ესმოდა — რას ნიშნავდა კრედიტები და ტრანსფერი. გარკვეული დრო იყო საჭირო იმის გასაცნობიერებლად, რომ რეფორმის შედეგად ქართველ ახალგაზრდებს ეძლევათ

მაგდელი და რეფორმის შემდგომი სივრცე განსხვავებულია ერთმანეთისგან, რაც დადებითად აისახა სასწავლო პროცესზე“, — განაცხადა გულნაზ გალდავამ.

შეხვედრაზე სასწავლო დეპარტამენტის უფროსმა თინათინ მარგალიტაძემ ისაუბრა იმ რეფორმებზე, რომლებიც უნივერსიტეტში საკმაოდ მტკივნეულად გატარდა. მისი ინფორმაციით, თსუ-ის 22 ფაკულტეტი გაერთიანდა და მათ ბაზაზე 6 ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, დაინერგა სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, შეიცვალა სასწავლო პროგრამები.

„როდესაც უნივერსიტეტში პირველად დაინერგა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, თითქმის არავის ესმოდა — რას ნიშნავდა კრედიტები და ტრანსფერი. გარკვეული დრო იყო საჭირო იმის გასაცნობიერებლად, რომ რეფორმის შედეგად ქართველ ახალგაზრდებს ეძლევათ

მობილობის შესაძლებლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომ საქართველოში მიღებული დიპლომი აღიარებულია საქართველოს ფარგლებს გარეთაც,“ — განაცხადა თინათინ მარგალიტაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს უნივერსიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო პროგრამების დახვეწაა. „უნივერსიტეტში ამ მიზნით შექმნილია დარგობრივი კომისიები, რომლებიც მთელი სემესტრის მანძილზე მუშაობდნენ პროგრამების სრულყოფაზე და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. უნივერსიტეტს იმედი აქვს, რომ ამ კუთხით დახმარებას გაგვიწევს უცხოელი კოლეგებიც, კერძოდ, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტების სპეციალისტები, რომლებიც, სავარაუდოდ, ყველა მიმართულების დარგობრივ კომისიებს გაუწევენ რეკომენდაციებს როგორც კურიკულუმების, ისე ცალკეული სასწავლო პროგრამების დახვეწის თვალსაზრისით“, — აღნიშნა თინათინ მარგალიტაძემ სტუმართან საუბრისას.

ევროპის რეგიონის ასამბლეის გენერალური მდივანს კლაუს კლიპს გულნაზ გალდავამ უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების წესი გააცნო. მისი ინფორმაციით, ამ პროცესში ჩართულია სახელმწიფო, თუმცა უნივერსიტეტის ბიუჯეტი ასევე ფორმირდება სხვა ეკონომიკური შემოსავლებიდან, იქნება ეს მიღებული გრანტები თუ სხვა წყაროები.



# საერთაშორისო „ეტალონი“ ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტების ქართულ სტუდენტებთან დაახლოებას

25 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში სტუდენტური პროექტის — „დიდი პერსპექტივა“ პრეზენტაცია გაიმართა. საერთაშორისო „ეტალონის“ მონაწილეებს, რომლებიც საქართველოში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, უნივერსიტეტმა უმასპინძლა. რუმინელი, თურქი, ესტონელი, ლიტველი, ამერიკელი, აზერბაიჯანელი სტუდენტებს, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში ტესტირების შედეგად შეირჩნენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა.

## შურთსია ბაროშვილი



პროექტის ავტორმა და წამყვანმა გოჩა ტყეშელაშვილმა შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ

საერთაშორისო მნიშვნელობის ეროვნული მედია-პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პატრონაჟით ხორციელდება, რომლის სტრატეგიული პარტნიორები არიან: „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, თბილისის საკრებულო, დედაქალაქის მერია, უზენაესი სასამართლო და იუსტიციის სამინისტრო. საერთაშორისო „ეტალონის“ მონაწილეებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გია ნოდია მიესალმა და სტუდენტებს წარმატებები უსურვა.

„თქვენი საქართველოში სტუმრობა და ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება სახელმწიფოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია, ხელი შევეწყვიტოთ უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობას, რაც ჩვენი განათლების დარგის წინსვლასა და განვითარებას გულისხმობს. თამაში, რომელიც თქვენ იღებთ მონაწილეობას, თანამშრომლობის არასტანდარტული ფორმაა, მაგრამ ეს ინტელექტუალური თამაში ხელს შეუწყობს თქვენს დაახლოებას. ახალგაზრდობაში მეც ვიყავი გატაცებული თამაშის ფილოსოფიით, ამიტომ განსაკუთრებით კარგად მესმის ამ პროექტის მნიშვნელობა ცოდნის განვითარების თვალსაზრისით. გი-

სურვებთ საინტერესო თამაშს, დამეგობრებას და მხიარულ დღეებს,“ — ასე მიმართა გია ნოდია ამ ახალგაზრდებს.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ უცხოელ სტუდენტებს მოკლედ გააცნო უნივერსიტეტის ისტორია და აღნიშნა, რომ თვითბოლოცაა ქართულ კულტურას არასოდეს ახასიათებდა და რომ სასწავლებლის კარი ყოველთვის ღია ნებისმიერი ქვეყნის სტუდენტისთვის.

„მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტი მასპინძლობს პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებს. ჩვენ მათთან დიდი ხანია ვთანამშრომლობთ სამეცნიერო მიმართულებით, მაგრამ ამ ფორმით თანამშრომლობა აქამდე არ გვიცდია. ეს ურთიერთობის ახალი ფორმაა, რომელიც უფრო დაგვაახლოებს ერთმანეთთან. მაღლობა მიინდა გადავუხადო პროექტის ორგანიზატორებს და ასევე ჩემს კოლეგა რექტორებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას და სტუდენტებს საქართველოში ჩამოსვლის საშუალება მისცეს. დარწმუნებული ვარ, თქვენი სახით ქართველი სტუდენტები და საქართველო ბევრ ახალ მეგობარს შეიძენს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ სტუდენტებთან საუბრისას.

უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე საერთაშორისო პროექტის მონაწილეებმა სამსოფრო საჩუქრებიც მიიღეს.

საერთაშორისო პროექტის — „ეტალონის“ კოორდინატორის თამარ ტყეშელაშვილის ინფორმაციით, ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა თამაშის დაწყებამდე მოინახულეს მცხეთა — სვეტიცხოვლის ტაძარი და ჯვრის მონასტერი, იყვნენ სიღნაღში და დაათვალიერეს ქვემო ქართლის ღირსესანიშნაობებიც.

27 ივნისს კი ისინი ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ და დაძაბულ „ბრძოლაში“ ჩაერთვნენ.

თამარ ტყეშელაშვილის თქმით, პროექტში თხოთმეტი ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ამიტომ კითხვები რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე მომზადდა.

აღსანიშნავია, რომ პროექტში საქართველოდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების გარდა მონაწილეობა მიიღეს: ტექნიკური უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კონსერვატორიისა და სამხედრო აკადემიის სტუდენტებმაც.

დაძაბული ორი ტურის შემდეგ გაიმართა ფინალური შეხვედრა, რომელმაც გამარჯვებული გამოავლინა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული სტიპენდია — 1000 ევრო ერთი წლის განმავლობაში ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტმა ეერო იანსონამ დამსახურებულად მოიპოვა. გამარჯვებული თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთუნელიამ დააჯილდოვა. 100–100 ლარის სტიპენდია ერთი წლის განმავლობაში რიტემ გაჯახურსას (მაგრიკის სამედიცინო უნივერსიტეტი) და მარტინას ვილიამას (ვილინუსის სამხედრო აკადემია) ერგო.

„ეს პროექტი მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტების ქართველ სტუდენტებთან დაახლოებას. ასეთი მასშტაბური „ეტალონი“ წელს პირველად ჩატარდა. იმედი, მომავალში პროექტი მეტად დაიხვეწება და საერთაშორისო „ეტალონი“ საქართველოში ყოველ წელს ჩატარდება“, — აღნიშნა თამარ ტყეშელაშვილმა.

# პროექტი — „მენარემოვის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ დასრულდა

ქართულ-ბერძნული პროექტი „მენარემოვის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, რომლის განხორციელებაც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ხელისუფლების წინააღმდეგობის და დახმარების, 25 ივნისს შემთავრებული კონფერენციით დაიხურა.

## საბუნავი სატიპოლოგია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პირულის (საბერძნული) უნივერსიტეტის პარტნიორობისა და საბერძნეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს ფონდის "HELLENIC AID"-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული ერთობლივი პროექტის დასრულებას, მიღწეული შედეგების მნიშვნელოვანი გამოხატულებით, თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა, საბერძნეთის ელჩი საქართველოში გეორგიოს ხატიმბელაკის, ორივე ქვეყნის განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროების, პროექტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ჯამლეტ ჯანჯღავა და პროექტის კოორდინატორი, პროფესორი იოსებ ჰასიდის დაესწრნენ.

პროექტის მიზანს სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზების გზით მენარემოვის სფეროში პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიღება წარმოადგენდა, რის შედეგადაც ქართველმა სტუდენტებმა აღნიშნული მეთოდებით დასავლეთეუროპული ტიპის ცოდნა მიიღეს. მისი განხორციელების პერიოდში შეიქმნა მენარემოვის კურსის სახელმძღვანელო ქართულ და ინგლისურ ენაზე, ასევე მეთოდური სახელმძღვანელო ბიზნეს გეგმის შესაბამისად. ქართველმა სტუდენტებმა შეიმუშავეს დეკლარაცია „მენარემოვის განვითარების შესახებ“, რომელსაც თსუ-ის რექტორი სამთავრობო სტრუქტურებს სამენარემო პოლიტიკის შემუშავების საქმეში სარეკომენდაციო სახით გამოსაცემად გადასცემს. შემუშავდა ქართულ-ბერძნული საგანმანათლებლო ცენტრის წესდებაც, რომლის პრეზენტაციაც კონფერენციაზე საუკეთესო სამენარემო პროექტებთან ერთად გაიმართა.

საუნივერსიტეტო დონეზე საქართველოში ახალი ეკონომიკური აზროვნების კულტურის დამკვიდრების საქმეში საბერძნეთის ხელისუფლებისა და უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული მხარდაჭერას თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა მნიშვნელოვან ინვესტიციად აღსაქვამს. მისი თქმით, ამგვარი პროექტების განხორციელების უდიდეს მნიშვნელობაზე უპირველესად ახალგაზრდა თაობის მიერ მიღებული ცოდნის შედეგები მიუთითებს და ამისთვის მადლობას, ბერძნულ მხარესთან ერთად, თავად თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური წრე იმსახ-

ურებს. „ევროპული ცოდნის დამკვიდრებასთან ერთად ბერძნულ-ქართული ურთიერთობები ახალ ასპექტებს იძენს და ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივაში სხვადასხვა მიმართულებითაც იკვეთება. ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისისა და საბერძნეთის უნივერსიტეტებს შორის სერიოზული პარტნიორობა ჩამოყალიბდა, რაც სამომავლოდ მხოლოდ უკეთესი პერსპექტივის იმედს იძლევა“, — აღნიშნა რექტორმა კონფერენციაზე.

საქართველოს და საბერძნეთის საუნივერსიტეტო დონეზე თანამშრომლობის განვითარება მითოლოგიური „არგოს“ განახლება შეეფასა საბერძნეთის ელჩმა საქართველოში გეორგიოს ხატიმბელაკისმა. კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას ელჩმა აძენს, რომ ორი კვირის წინ საბერძნეთის ქალაქ ოვოლოსიდან (ისტორიული იოკოსი) საბერძნეთის, კვიპროსის და საქართველოს მეცნიერებმა ახალი „არგო“ გამოაცილეს, რომელიც ისტორიულ მარშრუტს გაიმეორებს და სექტემბრის ბოლოსთვის ქალაქ ფოთში ჩამოვდება. „ამ ორ ფაქტს შორის განსხვავება 4 ათასი წელიწადია და ეს დრო, მთელ მსოფლიოში, საბერძნეთისა და საქართველოს სახელმწიფოებზე ცნობილ ორ გეოგრაფიულ რეგიონს აერთიანებს. აუარებელი არქეოლოგიური მასალა ადასტურებს, რომ ქართველ და ბერძენ ხალხს შორის ძალიან მჭიდრო კულტურულ-კომერციული ურთიერთობა არსებობდა. პირველი მითიურ-ისტორიული გეგმა „არგო“, რომელიც 4 ათასი წლის წინათ იოკოსიდან გამოვიდა და ჩამოაღწია საქართველომდე, იყო პირველი მერცხალი ორი სახელმწიფოს შემდგომი ურთიერთობის ხანგრძლივ გზაზე. ვფიქრობ, რომ დღეს საუნივერსიტეტო თანამშრომლობის სულისჩამდგმელიც იგივე „არგოა“, რომელიც თანამედროვეობაში ცოდნის ფორმით გამოვლინდა“, — აღნიშნა ელჩმა.

რაც შეეხება თავად პროექტის — „მენარემოვის კურსები სახელმწიფო უნივერსიტეტში“ როლსა და მნიშვნელობას, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური წრეები აღნიშნავენ, რომ იგი დიდი ხანია აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში და ორიენტირებულია განათლების გლობალიზაციაზე. „დღეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარე გლობალიზაცია თვისობრივად ახალ ამოცანებს უყენებს. ამჟამად, საგანმანათლებლო პრო-



ექსში, ძირითადი აქცენტი კეთდება არა დარგული ცოდნის პასიურ გადაცემაზე, არამედ სწრაფად ცვალებად და ნაკლებად პროგნოზირებად გარემოში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე. იგი, ასევე, გულისხმობს გლობალური ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა საერთაშორისო მოტივაციის ამაღლებას, — აღნიშნა პროექტის მონაწილემ, თსუ-ის სრულმა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიშვილმა.

პროექტის ქართველმა მონაწილეებმა თარგმნეს ბერძენი კოლეგების მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული მენარემოვის კურსი და იგი საქართველოს ეკონომიკური სინამდვილიდან აღებული ფაქტობრივი მასალით შეავსეს. ქართველ პროფესორ-მასწავლებლებმა ჯგუფი იმყოფებოდა საბერძნეთში, სადაც საინტერესო შეხვედრები გაიმართა პირულის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, საბერძნეთის ინვესტიციების ცენტრში, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსების პან-ბერძნული კონფერენციის და საბერძნეთის კონკურენციის კომისიის წარმომადგენლებთან.

ელგუჯა მექვაბიშვილის თქმით, პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრების შედეგად საბერძნეთის მხარე გამოხატა დაინტერესება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავისი საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა იყოს მიმართულებით წარმართოს. ერთის მხრივ, ის ეკონომიკისა და ბიზნესის სხვა კონკრეტულ დარგებში თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავება-დანერგვას ეხება, მეორე მიმართულება კი თსუ-ის სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისთვის მენარემოვის ეკონომიკის კურსის შეთავაზება,

სადაც ფაკულტეტების პროფილსაც გაითვალისწინებენ.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ჯამლეტ ჯანჯღავას თქმით, პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაზა სტუდენტების მიერ მომზადებული კონკრეტული ბიზნეს-პროექტების პრეზენტაცია იყო, რომლითაც ისინი ქართველი და ბერძენი პროფესორების წინაშე წარდგინეს. „ეს იყო საკმაოდ კვალიფიციურად შესრულებული საინტერესო მინი-პროექტები, რომლებიც შეიცავდა პრაქტიკული შინაარსის მქონე რეკომენდაციებსა და წინადადებებს. თვის დასაწყისში ბერძენი კოლეგების მიერ მომზადებული მასალების საფუძველზე ჩავატარეთ პროექტი მონაწილე სტუდენტების გამოცდა, რომელთა უმეტესობამ მენარემოვის კურსის სრული ცოდნა გამოავლინა“, — აღნიშნა ჯამლეტ ჯანჯღავამ.

კონფერენციაზე განსაკუთრებულად აღინიშნა ბერძენი კოლეგების პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულება ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ქართველმა პროფესორ-მასწავლებლებმა და მონაწილე სტუდენტებმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს პირულის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ჯოზეფ ჰასიდისადმი, რომელიც აღნიშნული პროექტის ინიციატორი და მთავარი ორგანიზატორი იყო.

კონფერენციის ბოლოს სერტიფიკატებით ერთად ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ ჩატარებულ გამოცდაში წარმატებული სტუდენტები. ინდივიდუალური პრემია, 80 ევროს ოდენობით, ბერძნულმა მხარემ 30-მდე სტუდენტს გადასცა. ყველაზე წარმატებულ 3 პროექტში ჩართულმა სტუდენტებმა კი 100 ევრო მიიღეს.

პროექტი მონაწილე სტუდენტები სერტიფიკატებთან ერთად 5 დამატებით სასწავლო კრედიტსაც მიიღებენ, რაც მათი შემდგომი საკარიერო წარმატებისათვის მნიშვნელოვანია.

სპეციალისტების შეფასებით, პროექტის ფარგლებში ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მისი გაგრძელების სურვილი ბუნებრივად გაჩნდა. კერძოდ, პროექტის მონაწილეების მიერ დაინერგა ტემპუს-ტასისის ერთობლივი პროექტი, რომელიც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უწყვეტი განათლების ცენტრის ჩამოყალიბებას. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მენარემოვის კურსის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით წავარაუდევია, რომ იგი საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც განხორციელდეს.

# თსუ-ის რექტორი სტუდენტურ ოლიმპიადაში — „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“ გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა

## საბუნავი სატიპოლოგია

გიორგის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა სტუდენტურ ოლიმპიადაში — „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“ გამარჯვებულ სტუდენტებს შეხვდა.

ოლიმპიადა კომპანია „ელიტელექტრონიკისა“ და საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, სადაც საქართველოს 24 წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის 240 სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტებს ფინალში გასასვლელად 3 საკონკურსო ეტაპი უნდა გადაეღობათ.

პირველ ეტაპზე გუნდებს ორიგინალური ბიზნეს-იდეა უნდა წარმოედგინათ, მეორეზე — საკუთარი ფირმის სარეკლამო ვიდეო რგოლი და ბუკლეტის პრეზენტაცია, მესამე ეტაპზე კი საქართველოში არსებული სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, სარეკლამო რგოლი, პლაკატი და ლოზუნგი უნდა წარმოედგინათ.

კონკურსის „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“ პირველი ორი ეტაპის „ახალგაზრდული იდეების ბაზარი“ და „ფირმის სარეკლამო კამპანიას“ ფინალისტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი გახდა, რომელმაც სპონსორებისგან ჯილდოდ 2000 ლარარი და ციფრული ვიდეოკამერა, თსუ-ის ხელმძღვანელობისგან კი ინდივიდუალურად სიმბოლური ფულადი პრემიები (100-იდან 300 ლარამდე) მიიღო.

ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდის ხე-

ლმძღვანელი, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ეთერ ხარაიშვილი 500 ლარაიანი პრემიით დაჯილდოვდა. გამარჯვებული სტუდენტები არიან: ნიკა ვარდიაშვილი (გუნდის კაპიტანი), მარიამ გრიგალავა, გიორგი შოშიკელაშვილი, მიხეილ ბენიძე, გივი მეღვინაძე, იოსებ კუპრაშვილი, მიხეილ დვალიშვილი, მარიამ ჯიბუტი, თამარ დიდებავილი, მარი ნადიაშიძე.

ოლიმპიადაში ფინალისტი ათი გუნდიდან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების გამარჯვებას უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ. მისი თქმით, უთანასწორო კონკურენციაში მოპოვებული უპირატესო-

ბამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, როგორც თავად უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟი, ასევე ის ახალგაზრდული პოტენციალი, რომელიც თანამედროვე სწავლებას ეუფლება და მომავალი კარიერისთვის საფუძველს იმზადებს.

„სადაც კონკურენცია არ არის, იქ განვითარება არ ხდება. საქართველოში ახლად შემოსულმა ბრიტანული ბანკის HSBC წარმომადგენლებმა შესარჩევი კონკურსების შემდეგ აღნიშნეს, რომ ინოვაციური იდეების გენერირების ხარისხი თსუ-ის სტუდენტებში საკმაოდ მაღალია და ეს მხოლოდ კარგი სწავლების შედეგი არ არის“, — აღნიშნა რექტორმა.

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულ-



ტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ჯამლეტ ჯანჯღავამ სტუდენტების ნიჭიერებასა და მომზადებასთან ერთად, საზგასმით აღნიშნა, რომ მიღწეული გამარჯვება იმ სასწავლო პროგრამების დამსახურება და მთელი კათედრის ძალისხმევის ერთ-ერთი გამოვლინებაა, რომელიც ფაკულტეტზე რეფორმის შემდეგ მიმდინარეობს. „ოლიმპიადის შედეგებმა გარღვია ის საინფორმაციო ვაკუუმი, რომ თითქოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვა უმაღლეს სასწავლებლებს ჩამორჩებოდა“, — აღნიშნა მან.

ოლიმპიადის მიზანი იყო წარმოეჩინა მენარემოვის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები. მათ გამოსავლებად შექმნილი ფიური დაკომპლექტებული იყო კერძო კომპანიების ხელმძღვანელებით და ბიზნესმენებით, რომელთაგანაც სტუდენტებმა ბევრი ისეთი სასარგებლო და პროფესიული რჩევები მიიღეს, რაც მათ ბიზნესის ახლებურად ხედვაში დაეხმარებოდა.

კონკურსში გუნდების შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმებით ხდებოდა: ყურადღება ექცეოდა თავად ბიზნეს-იდეას, ბაზრის ანალიზს, მარკეტინგულ სტრატეგიას, მართვის გეგმას, ფინანსურ დასაბუთებას, დამაჯერებლობასა და პრეზენტაციულურობას, ასევე იდეას, სლოგანსა და მისიას.

ოლიმპიადაზე სტუდენტებმა ბევრი რეალური იდეა წარმოადგინეს. ფიურის ნევრებმა მათ პროფესიული და კრიტიკული შეკითხვები დაუსვეს, რასაც თავი წარმატებით გაართვეს.

პროექტის იდეის ავტორები სტუდენტებს მსგავსი შეჯიბრის ჩატარებას მომავალშიც პირდებიან.

# ელექტრონიკა და ელექტრონული ინჟინერია თსუ-ში

თანამედროვე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა და წინსვლა წარმოუდგენელია მეცნიერების ახალი მიმართულებების, თანამედროვე ტექნიკისა და მონივრულ ტექნოლოგიების, ახალ ცოდნას და უფლებები სპეციალისტების გარეშე.

## მაია ტორაძე

„მეცნიერება ქვეყნისათვის აუცილებელია. ქვეყანა, რომელიც მეცნიერებას არ ავითარებს, კოლონიზაციისთვისაა განწირული“ — ეს გახლავთ ცნობილი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ფრედერიკო ჟოლიო-კიურის მიერ ორმოცდაათი წლებში გამოთქმული წინასწარმეტყველებული აზრი.

თანამედროვე სამყაროში ახალი ტექნოლოგიების შემოღების, შექმნის, დანერგვისა და მოხმარების თვალსაზრისით ქვეყნები სამ კატეგორიად არიან წარმოდგენილი:

◆ ქვეყნები, რომელთა ინტელექტუალური ელიტა წარმართავს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ქმნის და ყიდის მაღალ ტექნოლოგიებს;

◆ ქვეყნები, რომლებსაც აქვთ საშუალება აითვისონ და დანერგონ ტექნოლოგიური სიახლეები;

◆ პასიური მოხმარების, დოტაციური განვითარების ქვეყნები.

ამ კლასიფიკაციით საქართველო, რომელიც ორი ათწლეულის წინ პირველ-მეორე კატეგორიის ქვეყნად შეიძლება ჩათვალილიყო, ამჟამად, პრაქტიკულად, მესამე კატეგორიაშია გადასული. რამდენიმე ხნის წინ, მეცნიერების თვალსაზრისით, საქართველო არ იმყოფებოდა ბოლო ადგილზე — იგი ბევრად უსწრებდა რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებს. მაგრამ დღეს, მიუხედავად საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარეობისა, ქვეყანა პოზიციებს კარგავს. ეს სამსუხარო ვარდნა არ შეწყდება და აღმასვლა არ დაიწყება, თუ სასწრაფო ზომები არ მივიღებთ.

წელს უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალი საბაკალავრო სპეციალობა — ელექტრონიკა გაჩნდა. წელსვე ელექტრონიკის ინჟინერიის სპეციალობით კურსდამთავრებული პირველი გამოშვება მავსატრის დიპლომს მიიღებს. ელექტრონიკა და ელექტრონიკის ინჟინერია ტექნოლოგიების ფართო სფეროსთან და წარმატებასთან ასოცირდება, მაგრამ ბევრისთვის ეს ახალი სპეციალობა, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა. ამავდროულად, ეს სიახლე ოპტიმიზმის შეგრძნებას ბადებს, რადგან მოთხოვნილება ამ

სპეციალისტებზე ეკონომიკის მრავალ სფეროში იმდენად დიდია, რომ კურსდამთავრებული დასაქმება, ფაქტობრივად, გარანტირებულია. მიუხედავად ამისა, სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით კითხვები მაინც ბევრი ჩნდება: მაგალითად — რა ცოდნას შეიძენს სტუდენტი? რამდენად კომპეტენტური და წარმატებული აღმოჩნდება ამ დარგში თსუ-ის კურსდამთავრებული? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ პროფესორ რომან ჯობავას, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო ამ სპეციალობით საუნივერსიტეტო სწავლების ორგანიზებაზე.

რომან ჯობავა: — ძნელად წარმოსადგენია თანამედროვე ყოფის რომელიმე დარგი, სადაც არ მუშაობს ელექტრონიკა. შორეულ 50-60 წლებში საფუძვლები ჩაეყარა თანამედროვე ელექტრონიკას, კავშირგაბმულობას, ავტომატიზაციას... გაჩნდა ინფორმაციის და მართვის თეორიები, მოსაზრებები ხელოვნურ ინტელექტზე. დღეს ამას ელექტრონიკის ინჟინერია და ინფორმაციული ტექნოლოგიები ეწოდება.

თანამედროვე ელექტრონიკის ინჟინერია, ეფუძნება რა მათემატიკის ღრმა ცოდნას, თავის გამოყენებით ასპექტებში მრავალ საბუნებისმეტყველო დარგს ემსახურება. ასე მაგალითად, თსუ-ის ელექტრონიკის სპეციალობაში გათვალისწინებულია ბაკალავრის ისეთი მომზადება, როგორც საშუალებას მისცემს მას შემდგომ სწავლა ფიზიკის, კოსმოფიზიკის, გეოფიზიკის ან ბიოფიზიკის მიმართულებებით განაგრძოს, სადაც მათემატიკური მოდელირება და ექსპერიმენტული მიდგომების ფლობაა მოთხოვნილი. ეს სინთეზი, სპეციალისტების მომზადების თვალსაზრისით, პრინციპულად ახლებურ მიდგომებს მოითხოვს.

ძველი წარმოდგენა ელექტრონიკის სპეციალისტზე, როგორც ჩირკედელა ოსტატზე, დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. დღევანდელი სპეციალისტი, ძირითადად, თავით მუშაობს, რადგან ელექტრონიკის წარმოება მის მიერვე შექმნილ და დაპროგრამებულ რობოტებს გადააბარა. ის, პირველ რიგში, რთული ქსელების და იერარქიული სტრუქტურების

ფუნქციონირების მცოდნეა, ეხება ეს მათ ექსპლუატაციას, პროექტირებას თუ კვლევას. უნდა დავეთანხმოთ გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის ფრიდენ დისონის აზრს, რომ „ტექნოლოგია ძალაა, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს“.

წელს ელექტრონიკის ინჟინერიის სპეციალობით კურსს პირველი მაგისტრანტები ამთავრებენ. ორი მათგანი ამჟამად ტოკიოში იმყოფება, რომელიც საქართველოში შექმნილ საინჟინრო პროგრამული პაკეტების მოხმარებას იაპონელ სპეციალისტებს ასწავლიან. სხვათა შორის, ორივე გოგონაა, და ეს არ არის შემთხვევითი. თანამედროვე ელექტრონიკის ინჟინერია ქალებსაც ისეთივე პროფესიონალიზმს სთავაზობს, როგორც ვაჭებს.

ბაკალავრიატში სწავლება წელს დაიწყება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სასწავლო პროგრამა და აღჭურვილობა არაფრით ჩამოვარდება იმას, რასაც მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები ფლობენ. აშშ-ის ორი უნივერსიტეტი, გერმანიისა და იაპონიის უნივერსიტეტები მხარში გვიდგანან. მათთან დიდი ხნის საქმიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს. თსუ-ის კურსდამთავრებული ფიზიკოსები ელექტრონიკის ინჟინერიის დარგში წარმატებით ენევიან კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას აშშ-ის წამყვან ფირმებში და უნივერსიტეტებში. მათთან ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება უკვე დღის წესრიგშია. მათი სემინარები და ლექციები ჩვენი მაგისტრანტებისთვის უკვე ჩვეულებრივი ამბავია.

უცხოეთში თსუ-ის ავტორიტეტი ელექტრონიკის ინჟინერიის დარგში საკმარისად მაღალია. წელს ჩვენი (თავის ორ კოლეგასთან ერთად) სტუმრად გვყავდა ფირმა „მერსედისის“ ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, დოქტორი მარტინ აიდამი, რომელმაც ახალი საქმიანი წინადადებები შემოგვთავაზა. მათ განხორციელებაში ჩვენი მაგისტრანტებიც მიიღებენ მონაწილეობას. უახლოეს მომავალში ჩვენი ორი კურსდამთავრებული მაგისტრანტი ხანგრძლივი სამუშაო მიწვევით მიემგზავრება უცხოეთში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს უმთავრეს მიზანს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს. უსაფრთხოების საფუძველს ეროვნული

პროდუქტის წარმოება, რესურსების რაციონალური მოხმარება და მათზე კონტროლი შეადგენს. ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულმა ეკონომიკამ სახელმწიფოს უსაფრთხო განვითარება საწარმოო ძალების კვლევანარმოების რთული რეჟიმის პირობებში უნდა უზრუნველყოს. აქედან გამომდინარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისევე, როგორც ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლების ამოცანად პრაქტიკოსი მეცნიერის აღზრდა გვესახება. სწორედ ასეთ სპეციალისტს იძლევა საუნივერსიტეტო ელიტარული საინჟინრო განათლება.

მრავალი ისტორიული მაგალითი ცხადყოფს — რთულ გარდამავალ ეპოქებში სახელმწიფოს წარმატებული შენება შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ ელიტარული სამეცნიერო-საინჟინრო განათლების სისტემის ამოქმედების ფონზე. საფრანგეთში EEEcole Polytechnique; დიდ ბრიტანეთში კემბრიჯის უნივერსიტეტის ჩერჩილ-კოლეჯი; აშშ-ში მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი; რუსეთში „ფიზტექ“-ი; მეოცე საუკუნის ბოლოს კი — ირლანდიისა და ფინეთის უნივერსიტეტები — ეს ის უმაღლესი დაწესებულებებია, სადაც ელექტრონიკის და ელექტრონიკის ინჟინერიის სპეციალისტებს გამოჩენილი ადგილი უჭირავთ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თსუ-ში მიღებული თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლება ელექტრონიკის და ელექტრონიკის ინჟინერიის დარგში, დასაქმების ფართო პერსპექტივით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც სასურველი კარიერული და სხვა დაწესებულებისთვის და სხვა ქვეყნების აბიტურიენტებისთვის.

როგორც ვხედავთ, საქართველოში თანამედროვე ელექტრონიკის ინჟინერიამ პირველი ნაბიჯები წარმატებით გადადგა. ამ დარგის შემდგომი განვითარებისთვის განხორციელებული მიზანმიმართული ძალისხმევა სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის, ჩვენი ახალგაზრდობისთვის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რომელიც დღემდე დაარსებულია მონივრულ და თვალსაჩინო ქართული სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების აღზრდელად.

# „წყალი ყველასათვის“ — საკონკურსო პროექტის განხილვა

## მაია ტორაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლამ“ წლის განმავლობაში მოსწავლეებთან გაწეული მუშაობის შედეგები გააანალიზა.

25 ივნისს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის მიმართულმა მოსწავლეებმა იმ ჯგუფს მასპინძლობა, რომელსაც ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელმა ვაჟა ცხოვრებაშვილმა ახალგაზრდა ქიმიკოსების ოლიმპიური ჯგუფი უწოდა. ჯგუფმა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს წარუდგინა პროექტი „წყალი ყველასათვის“, რომელიც გაეროს საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ 2008 წელს ესპანეთში გაიმართება მსოფლიო მასშტაბის გამოფენა თემაზე „წყალი — სამყარო და თანამშრომლობა“. კონკურსი ჩატარდება სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეთა შორის.

ჯგუფი, რომელმაც საკონკურსო პროექტი წარმოადგინა, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 82-ე საჯარო სკოლის X-XI კლასების მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. პროექტის მიხედვით, მათ ევალებათ მოაწყონ მრავალი მაგიდა და განიხილონ საკითხები — წყლის დეფიციტი განვითარებად ქვეყნებში, წყლის დეფიციტის მიზეზები, აღნიშნული პრობლემის შესაძლო აღმოფხვრის გზები და სხვა. მასალები უნდა გადაეგზავნოს გაეროს შესაბამის კომისიას. მოსწავლეებმა აფინანსებ ისანი-სამგორის რაიონის მეფორიტარი დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი.

პროექტის ავტორები არიან: ნელი აკოფოვი (X კლასი), ნიკა ორტიკაშვილი (XI კლასი), მარი ნონიძე (XI კლასი), ნათია ხუციშვილი (XI კლასი), ანა ასათიანი (XI კლასი), ნაირა ავეტისიანი (XI კლასი). ხელმძღვანელები — აღნიშნული სკოლის ქიმიის პედაგოგები



— ნინო ბეჟუაშვილი და გულიზარ გაჩეჩილაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ ამ პროექტის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“ ძალიან დიდ სასწავლო და გასაანალიზებელ მასალას იძლევა. ჩვენმა მოსწავლეებმა მართლაც სასარგებლო ცოდნა წაიღეს უნივერსიტეტიდან. ამ განათლებას, რასაც ისინი აქ იღებენ, სხვა მოსწავლეებსაც აცნობენ. ეს იყო არაჩვეულებრივი ინიციატივა, რომელიც, ვფიქრობთ, მეცნიერების ამ დარგში წარმოშობილ პროფესიონალიზმის დეფიციტს აღმოფხვრის“, — განაცხადებს მათ.

ჩატარებული ღონისძიების დასრულების შემდეგ თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო

ბეჟუაშვილმა და გულიზარ გაჩეჩილაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ ამ პროექტის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“ ძალიან დიდ სასწავლო და გასაანალიზებელ მასალას იძლევა. ჩვენმა მოსწავლეებმა მართლაც სასარგებლო ცოდნა წაიღეს უნივერსიტეტიდან. ამ განათლებას, რასაც ისინი აქ იღებენ, სხვა მოსწავლეებსაც აცნობენ. ეს იყო არაჩვეულებრივი ინიციატივა, რომელიც, ვფიქრობთ, მეცნიერების ამ დარგში წარმოშობილ პროფესიონალიზმის დეფიციტს აღმოფხვრის“, — განაცხადებს მათ.

# უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კვირეული თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტამ გამართა

23 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვირეული გაიხსნა.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ნოდარ ბელქანიამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული ექვსი მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები მიმდინარე კვირეულზე განუვლ მუშაობას შეაჯამებენ. ამ მიზნით განსაზღვრული იყო მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების, სტუდენტური ჟურნალებისა და სადისკუსიო კლუბების პრეზენტაციები.

## მანია ტორაძე

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული უნივერსიტეტის სოციალური მისიის შესრულება. ამ მიზნით ბუდაპეშტის ცენტრალურ უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმილია ფაკულტეტის აკადემიური პროგრამების მოდერნიზაცია. ეს არის სერიოზული პროექტი, რომელიც გულისხმობს დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარამდე გრანტის გამოყოფას. ეს ჩვენს აკადემიურ პერსონალს ხელს შეუწყობს თანამედროვე პროგრამების დანერგვაში. დაგეგმილია ტრენინგები, მივლინებები დასავლეთის უნივერსიტეტებში, ასევე უცხოეთში პროგრამების შეთავაზება უცხოელი სტუდენტებისთვის. ამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და, კონკრეტულად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი საინტერესო მისამართი იქნება სწავლის გაგრძელების უცხოელი მსურველებისა და მეცნიერ-მკვლევარებისთვის, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

მან აგრეთვე ისაუბრა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განახლების პროცესზე. რექტორის თქმით, მომავალ თვეში დაიწყება უნივერსიტეტის I-II კურსის სერიოზული რეკონსტრუქცია, რომელიც ფონდ „ქართუს“ ხელშეწყობით ხორციელდება. საქართველოს მთავრობის ინიციატივით მადლიერი კორპუსის ტერიტორიაზე, ასევე, დაგეგმილია ახალი საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა. პროექტის საჯარო ღირებულება 250 მილიონი ლარია. ეს იქნება თავისი არსით უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კამპუსი მთელ მოსახლეობისთვის. საჯაროდ, 4-5 წელიწადში პირველ ქართულ უნივერსიტეტს ექნება თანამედროვე, დასავლური საუნივერსიტეტო ქალაქი, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს სტუდენტებს და პროფესორებს, ისწავლონ და იმუშაონ ღირსეულ პირობებში. ეს არის დიდი საჩუქარი უნივერსიტეტის 90 წლისთავზე და კარგი შანსია იმისთვის, რომ უნივერსიტეტი იყოს გამგებელი იმ დიდი ტრადიციებისა, რასაც საფუძველი მისმა დამფუძნებლებმა ჩაუყარეს. სწორედ ამ ქალაქში განთავსდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომელსაც ექნება თანამედროვე აუდიტორიები, რესურსცენტრები, ბიბლიოთეკა და ყველა საჭირო ატრიბუტი, რომელიც სწავლას და სწავლებას საინტერესოს გახდის, — განაცხადა რექტორმა.

სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორმა დალი ფარჯანაძემ. მან გაიხსენა საქართველოში ფსიქოლოგიის, როგორც დარგის, წარმოშობისა და განვითარების ისტორია და აღნიშნა, რომ მიმართულება დღესაც ინარჩუნებს იმ სტანდარტებს, რომლითაც ცნობილი იყო თავისი განვითარების ისტორიაში. მოხსენებაში ითქვა, რომ ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარება უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღეებიდანვე დაიწყო. საქართველოში ამ დარგის დამაარსებელი იყო დიმიტრი უზნაძე, რომელიც 1918 წელს სიბერძნისმეტყველების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიას კითხულობდა. მან ხუთ წელიწადში შეძლო შემოეკრიბა პროფესიონალები და შექმნა ფსიქოლოგიის ლაბორატორია, სადაც თავის მოსწავლეებთან ერთად მუშაობდა „განწყობის ფსიქოლოგიაზე“.

1927 წელს შეიქმნა ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი იყო. 1941 წელს, როდესაც საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები ჩამოყალიბდა, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი შეიქმნა საუნივერსიტეტო კადრებით. პარალელურად გრძელდებოდა მუშაობა უნივერსიტეტშიც და უნდა ითქვას, რომ ერთადერთი კერა, რომელიც საქართველოში ფსიქოლოგებს ზრდიდა ბოლო დეკადადზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტი დამოუკიდებელი სახით 1990 წელს ჩამოყალიბდა.



„დღეს ეს მიმართულება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მართავს სასწავლო პროცესს, რაც ლოგიკურია, რადგან ფსიქოლოგია ყოველთვის პირველი იყო რეფორმების და თანამედროვე სტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით. ეს მიმართულება, რომელმაც უდიდესი სკოლა ჩამოაყალიბა, აგრძელებს ტრადიციებს, ჰყავს გამორჩეული თანამშრომლები და ნიჭიერი სტუდენტები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ მეცნიერების ამ დარგს პროფესიონალი კადრები არ მოაკლდება“, — განაცხადა დალი ფარჯანაძემ.

ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორმა მარინა ვეკუამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში ჟურნალისტიკის მიმართულებამ უკვე ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც საკმაოდ კარგი რეზონანსი მოჰყვა. მანვე აღნიშნა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ჟურნალისტიკის მიმართულება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ვითარდება. იწვევება ახალი სტანდარტები, რომელიც მიმართულებას პროფესიონალი ჟურნალისტების გამოშვების შესაძლებლობას მისცემს.

პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების, როგორც სპეციალობის, განვითარების ისტორიაზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც ამ მიმართულებაში დაარსების პირველ წლებში ჰქონდა. „მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიური კადრების მომზადების პირობებიც შეიქმნა. 1991 წელს, როცა დღის წესრიგში დადგა ამ ფაკულტეტის დაარსების საკითხი, საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც მეცნიერება, პრაქტიკულად მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობდა და არანაირი გამოცდილება არ გავაჩნდა ამ მეცნიერების სასწავლებლად. ჩვენ მათი გამოცდილების საფუძველზე შევქმენით თეორიული კურსი, რაც გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.“

პრობლემები ახლაც გვაქვს. მას შემდეგ, რაც რეფორმა განხორციელდა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა ცალკე აღარ არსებობს, მაგრამ მიმართულების პრესტიჟულობის გამო სტუდენტთა მხრიდან დიდი მოთხოვნაა. ეს გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ წინააღმდეგობებს დაკვეცივთ და საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც აკადემიური დისციპლინა, თავის სიტყვას იტყვის ტრადიციულ მეცნიერებათა გვერდით, — განაცხადა ზურაბ დავითაშვილმა.

პოლიტოლოგიის მიმართულების პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ საინტერესო წინადადებათა მიმართა აუდიტორიას: „უნივერ-

სიტეტის საიუბილეო ღონისძიებები მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და მისი ძირითადი ნაწილი უნივერსიტეტის კედლებშივე იხარშება. იქნებ გვეფიქრა და შემოდგომაზე ჩავგვეტარებინა კონფერენცია, რომლის თემა იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ახალი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში. უნივერსიტეტი ათწლეულების განმავლობაში იბრძოდა ქართული საქმის დასაცავად და თუკი ქართულ სახელმწიფოებრიობას ბევრი რამ ქართველობისა შეუნარჩუნდა, ამ უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორების დამსახურებაა. ასეთი ისტორიით საქართველოში ვერც ერთი უნივერსიტეტი ვერ დაიკვეხნის“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება პოლიტოლოგიის სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი თსუ-ში ერთ-ერთი პირველი რეფორმატორია. რეფორმის განხორციელების შემდეგ ექვსი დამოუკიდებელი ფაკულტეტი შეეცადა ერთი ფაკულტეტის ფარგლებში ცხოვრების ორგანიზებას და სასწავლო პროგრამების აგებას. მათ შორის იყო პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება, რომელმაც „ლია საზოგადოების ინსტიტუტის“ აკადემიური მხარდაჭერის ფარგლებში შეძლო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აგება. „რა თქმა უნდა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც სწავლების და კვლევის მიმართულებით პრობლემებს გვიქმნის, ესაა თანამედროვე ლიტერატურის არარსებობა. ჩვენ ვვინდა სტუდენტები კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩაერთონ, რაშიც მათ დახმარება ესაჭიროებათ. იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ეს პრობლემა გადაიჭრება“, — განაცხადა მალხაზ მაცაბერიძემ.

სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა საქართველოში სოციოლოგიის განვითარების ეტაპებზე ისაუბრა.

სოციოლოგია არის მეცნიერება, რომლის ძირითადი მოწოდებაა დაამტკიცოს ის, რომ საგნები და ნივთები არ არიან ისეთი, როგორადაც თავს გვაჩვენებენ. ამგვარი მამხილებელი პათოსის მქონე მეცნიერების არსებობა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოში სოციოლოგიის განვითარებას ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ცდი-

თველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ჩვენს ქვეყანაში სოციოლოგიის განვითარებას დიდი პერსპექტივა არ ჰქონია. 1989 წელს, პროფესორ ედუარდ კოდუას დაჟინებით და მონდომებით, ფილოსოფიის ფაკულტეტზე შეიქმნა სოციოლოგიის ცალკე განყოფილება. განვლილი 18 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორებმა შექმნეს დასავლური სოციოლოგიის პარამეტრების შესაბამისი სასწავლო პროგრამა, რაშიც მათ თავის დროზე „ლია საზოგადოების სოციოლოგიური მეცნიერების ცენტრი“ დაეხმარა. აქ გადამზადდა უნივერსიტეტის პედაგოგები, შეიქმნა სახელმძღვანელოები.

„რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, სოციოლოგიის მიმართულება აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი მოვლენების ემპირიულ კვლევაში. ჩვენ გვყავს ენერგიული სტუდენტები, რომელთა ინიციატივითაც ამ დღეებში სოციოლოგიის მიმართულებაზე დადევნიმე ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის გამოვარჩევი სადისკუსიო კლუბის დაარსება. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, რომ მარტო პროფესორებს კი არა, პირველ რიგში, აქტიურ მოქალაქეებს ვზრდით“, — განაცხადა ამირან ბერძენიშვილმა.

პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების სტუდენტმა გიორგი მაჭარაშვილმა თავის გამოსვლაში სურვილი გამოთქვა, რომ უნივერსიტეტი მეტად დაეხმაროს სტუდენტებს კვლევასა და კვლევაზე ორიენტირებულ სწავლაში. მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკისა და კვლევითი ცენტრის არარსებობის პირობებში სტუდენტებს უჭირთ სათანადო სამუშაოების ჩატარება. მანვე წამოაყენა წინადადება, შეიქმნას საფაკულტეტო ფონდი, რომელიც კონკურენტის პირობებში სტუდენტებიდან წამოსულ ყველა ღირებულ იდეას და ინიციატივას დააფინანსებს.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვირეულის გახსნა მიულოცა დასავლეთ ონტარიოს (კანადა) უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის პროფესორმა დორნ კემპბელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში მისი ვიზიტის მიზანია, გაუზიაროს თსუ-ის პროფესორებს გამოცდილება და გაცნოს მოდელი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ უნივერსიტეტში მიმდინარეობს სწავლება როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. „ვიზიტის დიდი ნაწილი შეეხება გამოცდილების გაზიარებას იმის შესახებ, თუ როგორ ვატარებთ კვლევას ჩვენს უნივერსიტეტში და როგორ ვზრდით ამ კვლევის



ლობდენ არჩილ ჯორჯაძე, მისაკო ნერეთელი და სხვები. შემდგომ პერიოდში, რაც უფრო განვითარდა ტოტალიტარული რეჟიმი, სოციოლოგიური მეცნიერება, თვით მარქსისტული სოციოლოგიაც კი, ფაქტობრივად აიკრძალა. ისწავლებოდა მხოლოდ მარქსისტული ფილოსოფიის ნაწილი — ისტორიული მატერიალიზმი, რომელიც იდეოლოგიზირებული იყო და რომელმაც სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, საქართველოში ჩაკლა.

დათბობის პერიოდის დადგომის შემდეგ, 1968 წელს, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი სოციოლოგიური კვლევების კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებელი ვენორი ქვაჩაია იყო.

მიუხედავად ყინულის დაძვრისა, საქარ-

საფუძველზე პრაქტიკოს სპეციალისტებს და მეცნიერებს. შესაბამისად, ჩვენს ქართველ კოლეგებთან ერთად ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობები არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთობლივი კვლევების ჩატარებისთვის. ძალიან მომწონს თბილისი. იმ დღეების განმავლობაში, რაც აქ ვიყავი, დიდი სიამოვნება მივიღე და ასეთივე განწყობით შეგხვდებით ყველა თქვენგანს მომავალ კონფერენციებზე, რომელიც ამ კვირის განმავლობაში ჩატარდება“, — განაცხადა დორნ კემპბელმა.

# უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კვირეული თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გამართა

მე-7 გვერდიდან



24-25 ივნისს კვირეულის ფარგლებში თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის მიმართულებების პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები გაიმართა. კონფერენციების მალალი სამეცნიერო დონე განსაზღვრა წარმოდგენილი მოხსენებებმა, რომლებიც შეეხებოდა სხვადასხვა საკვლევ თემატიკას, როგორცაა: „განწყობის მანტიციცირებელი მოქმედება ფიგურის გეშტალტის შექმნაში“ (მ. კალანდარიშვილი, ფსიქოლოგია), „მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციური დატვირთვა ქართული აუდიტორიისთვის“ (რ. ციციშვილი, ფსიქოლოგია), „ვერობული საგანმანათლებლო სივრცის და ფსიქოლოგიის სწავლება თსუ-ში“ (გუნდური მოხსენება), „გენდერული განსხვავებები დანყვილების სტრატეგიებში“ (ნ. ჯავახიშვილი, ფსიქოლოგია), „ღია საზოგადოება და დემოკრატია“ (ა. ბერძენიშვილი, სოციოლოგია), „პოსტსაბჭოთა თბილისის საცხოვრებელი მასივების სივრცითი ორგანიზების პრობლემები“ (ი. სალუქვაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფია), „საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების რეგიონული თავისებურებები“ (გ. გოგასაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფია), „საქართველო და ნატო“ (მ. მაცაბერიძე, პოლიტიკის მეცნიერებები), „ნაციონალიზმის ტიპოლოგია (ზ. დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობები), „ფერადოვანი რეგოლოციები“ (რ. ჯორბენაძე) და სხვ.

როგორც მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კონფერენციები მალა მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. წარმოდგენილი მოხსენებებმა აუდიტორიაში ასეთი დონის სამეცნიერო კონფერენციებისთვის სრულიად ლოგიკური კამათი და სჯა-ბაასი გამოიწვია. მისი თქმით, რეკომენდაციები, რომელიც ამ კონფერენციებზე გაჟღერდა, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრისთვის, რადგან მათი გათვალისწინება ბევრ პრობლემას მოაგვარებს.



კვირეულის ფარგლებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა, სხვა საინტერესო ღონისძიებებთან ერთად, ჟურნალისტიკის მიმართულების კურსდამთავრებულებთან შეხვედრაც მოაწყო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, რომლებმაც ფეხი უნივერსიტეტში აიღეს, კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, რომ მშობლიური უნივერსიტეტის კარგად ნაცნობ გარემოში შეხვედნენ თავიანთ პროფესორ-მასწავლებლებს.

კურსდამთავრებულებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუაძემ, რომელმაც ამ დღეს ღონისძიებას უწოდა, რადგან უნივერსიტეტი მასპინძლობდა ადამიანებს, რომლებმაც თავის დროზე განათლება პირველ ქართულ უნივერსიტეტში მიიღეს.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სახელით კურსდამთავრებულებს მი-



მართეს ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორმა მარინა ვეკუაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა დალი ჩიკვილაძემ, მაია კვეზერელი-კობახიძემ, ღვანლმოსილი უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის მიმართულების დამაარსებლის, პროფესორ დავით გამეზარდაშვილის ქალიშვილმა დალი გამეზარდაშვილმა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სოფო კვი-

ტრაძემ. განსაკუთრებული სიხარული და ოცაცია გამოიწვია ნაცნობი და საყვარელი „სახის“ — ნათია მონიასას გამოსვლამ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის ბაღში დიდხანს ჩანდნენ ერთად ჩამომჯდარი ყოფილი თანაკურსელები, რომლებიც ალბათ იმ წლებს იხსენებდნენ, როცა უნივერსიტეტის კედლებს მათი ჟრიაშული ავსებდა.

## სტუდენტური პერიოდული გამოცემის — „პირველი სიტყვის“ პრეზენტაცია

მართალია ქართული პრესა ნამდვილად არ განიცდის ჟურნალ-გაზეთების სიმცირეს და არც მკითხველი აუდიტორიის რიცხვია სავანგაშო, მაგრამ ახალგაზრდული აკადემიური გამოცემების დეფიციტი რომ არის, ეს უდავოა. მართალია, გასართობი ჟურნალ-გაზეთებითა და მსგავსი თემატიკის ელექტრონული ვერსიებით ახალგაზრდობის დიდი ნაწილია დაინტერესებული, მაგრამ რა ქნან მათ, ვისაც სერიოზული თემები აინტერესებთ? დღეს ახალგაზრდებს უფრო მეტად სჭირდებათ გაერკვნენ, ჩაუღრმავდნენ, გააანალიზონ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური თუ სხვა მნიშვნელოვანი პროცესები, რათა უფროსი თაობის შეცდომები არ გაიმეორონ. ამის გამო ისწრაფიან ისინი ობიექტური, მეცნიერულ-ანალიტიკური დასკვნები გამოიტანონ საზოგადოებრივ-სამართლებრივი პროცესების შეფასებისას და ამ პროცესების მიმართ აქტიური პოზიცია გამოხატონ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი დღეს ყოველი ახალი სტუდენტური ჟურნალისა თუ გაზეთის გამოცემა.

### თამარ მარუაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თაობათა შორის ურთიერთობის დარეგულირების და მონერსიგების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია, ამიტომ ახალგაზრდობის საინტერესო და ღირებულ ინიციატივას ის ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება და ყველა სერიოზული „ინიციატორის“ ხელშეწყობა. ამ პოზიციას ადასტურებს 23 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გამართული სტუდენტური პერიოდული გამოცემის „პირველი სიტყვის“ პრეზენტაცია.

სტუდენტური ჟურნალის დაარსების ინიციატორი და რედაქტორია ამავე ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი თეონა ლავრელაშვილი, რომელიც რამდენიმე სტუდენტური პროექტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

„ჟურნალი „პირველი სიტყვა“ აკადემიური ხასიათისაა. ეს საფაკულტეტო პროექტია და ვფიქრობთ, წარმატებით განხორციელდება... ჟურნალის რედაქცია თითოეულ სტუდენტს აძლევს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და ინტელექტუალური ცოდნის ამაღლების საშუალებას. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ თითოეულ სტუდენტთან და გავითვალისწინოთ პროფესიული შენიშვნები“, — განაცხადა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას თეონა ლავრელაშვილმა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუაძე, ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენ-



ლები, რომლებმაც ერთხმად მოუწონეს სტუდენტებს ეს ნაბიჯი და მხარში დგომას დაპირდნენ. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ჟურნალის ელექტრონული ვერსიაც.

„მიხარია, რომ ამ ჟურნალის გამოცემის ინიციატორები სწორედ სტუდენტები არიან. ეს უკვე თავისთავად გარანტია იმისა, რომ იგი იქნება მართალი სიტყვისა და გულწრფელი აზრის ტრიბუნა... მე ვისურვებდი ისეთ ჟურნალს, რომელიც დაამკვიდრებდა გემოვნების მალა სტანდარტებს ჯერ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, შემდგომ კი უფრო ფართო აუდიტორიაში... მსგავსი ინ-

ტელექტუალური გამოცემების დეფიციტი დღეს ამკარაა ქართულ მედიაში და დიდი სურვილი მაქვს, ამ ჟურნალით ეს დეფიციტი შეივსოს“, — აღნიშნა გიორგი ხუბუაძემ.

ჟურნალის გამოსვლას მიესალმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ბელქანიაც და იმედი გამოთქვა, რომ ჟურნალი იხელმძღვანელებს ისეთ პრინციპებით, როგორცაა: სიმართლე, ნიჭიერების ხელშეწყობა, პრინციპულობა და რომ ნაკლებად გადაუხდის ხარკს კონიუნქტურას, ეფემერულ მოდას და სხვა ყალბ იდეალებს, რომლებიც ისედაც მოჭარბებულია ჩვენს საზოგადოებაში.

ჟურნალი რუბრიკების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იგი თემატურად და შინაარსობრივადაც საინტერესოა, რაც გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ჟურნალს აქვს პერსპექტივა — გახდეს სტუდენტობისთვის ავტორიტეტული გამოცემა, რომელიც თავისი ობიექტურობითა და შინაარსით ახალგაზრდობის ნდობას მოიპოვებს.

როგორც კი ჟურნალს თვალს გადაავლებთ, ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდა თაობა არანაკლებ დაინტერესებულია ქვეყნის ბედ-ილბლით, ისტორიით, ქვეყნის ტერიტორიული მონყობის, საგარეო პოლიტიკისა თუ საკანონმდებლო რეფორმების საკითხებით და საკმაოდ კომპეტენტურ მოსაზრებებსაც გვიზიარებს... ამ მხრივ გამოირჩევა იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის ბექა ნიკლაურის პუბლიკაცია „რეგიონალიზმი საქართველოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა?“, თსუ-ის ასპირანტის არკადი ძაძუას „ღია ჰეგემონიის“ კონცეფცია აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში“, იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის თორნიკე წონოლაშვილის სტატია „რა ეკონომიკურ-სამართლებრივი სიახლეები მოგვითანა რუსულმა მმართველობამ?“ და სხვ.

„პირველი სიტყვა“ მზად არის ითანამშრომლოს თითოეულ სტუდენტთან, ყველა ახალგაზრდულ თუ სოლიდურ გამოცემასთან, რომელიც უდავოდ სასიკეთოდ წაადგება ჟურნალისტიკის საპასუხისმგებლო გზაზე შემდგარ სტუდენტურ დებიუტს.

პრეზენტაციის ბოლოს სარედაქციო საბჭომ მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციასა და სტუდენტურ თვითმართველობას განეული დახმარებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ „პირველი სიტყვა“ ღირსეულად იგინავს და იმკვიდრებს საუნივერსიტეტო სივრცეში.

„მოგესხენებათ, მკითხველის ნდობისა და სიყვარულის მოპოვება მარტივი არ არის. ეს მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით, ჟურნალისტური თავდადებითა და სიმართლის მსახურებით მიიღწევა. გისურვებთ, რომ თქვენს ჟურნალს გაეკვალოს გზა მკითხველის გულბისკენ, მოიპოვოს მისი სიყვარული და შეასრულოს ის მისია, რომელსაც ჩვენი დიდი ნინაპრები ქართული სიტყვის მსახურებს აკისრებდნენ“, — ასე დაულოცა გზა სტუდენტებს პუბლიკარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დარეჯან თვალთვაძემ.



# ჟურნალ "Politea"-ს პრეზენტაცია

თსუ-ის სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტმა ელექტრონული ჟურნალი "Politea" გამოსცა, რომლის პირველი ნომრის პრეზენტაციაც, ფაკულტეტის კვირეულის ფარგლებში, 23 ივნისს გაიმართა.

ჟურნალი, სადაც ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მომზადებული მასალებია განთავსებული, აკადემიური პერსონალის, თანატოლებისა და დაინტერესებული საზოგადოების წინაშე პოლიტოლოგიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა გიორგი მაჭარაშვილმა წარადგინა. პრეზენტაციაზე იქცა, რომ პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორისა და თსუ-ის სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის ინიციატივითა და მხარდაჭერით 2007 წელს ფაკულტეტზე სტუდენტური ჯგუფი "Politea" დაარსდა, რომელმაც მიზნად ინსტიტუციური კვლევების წარმოება დაისახა. მოგვიანებით კი აღნიშნულმა ჯგუფმა მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების ანალიზის, ახალგაზრდა პოლიტოლოგებისა და მკვლევარების წარმოჩენასა და პროფესიულ წინსვლაში დასახმარებლად ამავე სახელწოდების ელექტრონული ჟურნალის მომზადება გადაწყვიტა.

### სათუნა ხატიაშვილი

ჟურნალის გამოცემის მიზანია, დაამკვიდროს არგუმენტირებული და აკადემიური პრაქტიკა პოლიტიკის, როგორც მეცნიერების დარგში. სტუდენტები და პროფესორები ერთობლივი კვლევების გარდა, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რეკომენდაციებსა და ალტერნატიულ წინადადებებსაც შეიშუაშავენ.

ჟურნალ "Politea"-ს სარედაქციო საბჭო სტუდენტებით არის დაკომპლექტებული, რომლის შემადგენლობაშიც არიან: გიორგი მაჭარაშვილი, ნიკოლოზ ნულაია, ლაშა

მიდელაშვილი, ქეთევან ხიდეშელი, თამარ შუკვანი, თეიმურაზ სამებულაშვილი.

სამეცნიერო საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით კი ჟურნალის გამოსაცემად ახალგაზრდებს შვეიცარიის სამეცნიერო კონსულტანტები და მრჩეველთა საბჭო, რომელთა შორის თსუ-ის სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებთან ერთად სხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელიც არიან.

საკონსულტაციო საბჭოში გაერთიანებული არიან თსუ-ის პროფესორები: ნანა მაჭარაშვილი და ზვიად აბაშიძე, მრჩეველთა საბჭოში კი: დავით აფრასიძე, მალხაზ მა-

ცაბერიძე, ლევან ცუცქერიძე, კორნელი კაკაჩია, კობა თურმანიძე, მალხაზ სალდაძე, არმან ახვლედიანი, ბაქარ ბერეკაშვილი.

როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, "Politea"-ს პირველი ნომერი, ზოგადად, ეძღვნება პრეზიდენტის ინსტიტუტს საქართველოში, სადაც ასახულია მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, 1991 წელს მისი დაფუძნებით დაწყებული და 2008 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნებით დასრულებული. სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევითი მასალები, ასევე, ეხება პრეზიდენტის ინსტიტუტის გადასინჯვის საკითხს, რომელიც ბოლო პერიოდში აქტუალურად განიხილებოდა. ჟურნალში შემავალი მასალები დაყოფილია ექვს თემათა და მოიცავს საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრების შემდეგ განხორციელებულ ყველა საკონსულტაციო ცვლილებას. იქიდან გამომდინარე, რომ 1994 წლის ცვლილებების მიხედვით საქართველოს კონსტიტუცია ამერიკულ, 2004 წლის ცვლილებების საფუძველზე კი ფრანგულ მოდელს დაემსგავსა, ახალგაზრდა პოლიტოლოგებს გაკეთებული აქვთ საინტერესო კვლევის საპრეზიდენტო ინსტიტუტების შედარებით.

სტატიაში, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს შეეხება, ნათქვამია, რომ არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის გამარჯვების გამო ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის გადასინჯვის საკითხი დღის წესრიგიდან

დროებით მოიხსნა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს თემა აქტუალური აღარ არის.

„იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო 17 წლის განმავლობაში საქართველოში რამდენჯერმე მოესწრო პრეზიდენტის ჩამოგდება თუ მისი ხელახლა არჩევა, სავარაუდოა, რომ ეს საკითხი წინა პლანზე კიდევ წამოიწივს“, — აღნიშნა პრეზენტაციაზე გიორგი მაჭარაშვილმა.

ხარჯებიდან დაკავშირებული საკითხის გამო ჟურნალის ტირაჟირება არ იგეგმება და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მხოლოდ მისი ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი. მის მომზადებაში ჩართულ სტუდენტებს მაინათ, რომ არსებული საუნივერსიტეტო ფინანსური რესურსი უმჯობესია კვლევების ჩატარებას მოხმარდეს, რათა ახალგაზრდებმა ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება მოახერხო.

იმისათვის, რომ ჟურნალში განთავსებული სტუდენტების ნაშრომები საუნივერსიტეტო სივრცეში „არ ჩაიკეტოს“, ფაკულტეტის აკადემიური მხარდაჭერით თანამშრომლობის ეტაპობრივად გაფართოებაზე ზრუნავენ. არსებობს იმედი, რომ პოლიტიკური კვლევებით დაინტერესებული სტუდენტების რაოდენობაც გაიზრდება და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს იამაყოს მომავალი კვალიფიციური მკვლევარებით, რომლებიც სახელმწიფოს პოლიტიკაში სერიოზულ სიტყვას იტყვიან.

## საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დამკვირვებელ სტუდენტთა თვალით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თანდათან ამკვიდრებს ევროპული სწავლების სტანდარტებს, რამაც დიდი ადგილი უჭირავს სტუდენტთა აქტივობას.

24 ივნისს სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებაზე, საიუბილეო კვირეულის ფარგლებში, სტუდენტებმა მრგვალი მაგიდა გამართეს. მისი თემა იყო „საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დამკვირვებელ სტუდენტთა თვალით“ (მოდერატორი – პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე).

### მანია ტორაძე

მრგვალი მაგიდა გაიხსნა მსჯელობით, თუ რა საკითხზე უნდა დაკონკრეტებულიყვნენ მონაწილეები — არჩევნების ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, საარჩევნო კანონზე თუ მხოლოდ ხმის მიცემის პროცედურაზე. მოდერატორმა სტუდენტებს მისცა სასურველი მიმართულების არჩევის თავისუფლება, შეახსენა მათ არჩევნების მნიშვნელობა და ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ძირითადი ტენდენციები.

მართლიანობაზე ვლადპარაკობთ, ეს პროცესი სამ ნაწილად უნდა დაიყოს — წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე და არჩევნების შედეგების შეჯამება. თუ ამ სამივე ფაზაში არჩევნების სამართლიანობა დაცული იქნება, მაშინ შეიძლება ვლადპარაკობთ იმაზე, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა.

მან პარალელი გაავლო საქართველოში ჩატარებულ სხვა საარჩევნო პროცესებთან და განაცხადა, რომ მათ ახასიათებდათ საერთო ნიშანი — წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი არ იყო, რადგან არჩევნები ტრადიციულად ყალბდებოდა და იმდროინდელ ხელისუფლებ-

გამოც შენიშვნების ადრესატი — მმართველი პარტია ცდილობდა შეეზღუდა დარღვევები, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ არჩევნებზე სახელისუფლებო რესურსი არ დახარჯულა“, — განაცხადა ნინა ხატიაშვილმა.

ქალბატონი ნინას განცხადებას, რომ ყველა წინა არჩევნებში ტრადიციულად ყალბდებოდა, არ დაეთანხმა პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, რომელმაც დარბაზს შეახსენა, რომ საქართველოს ისტორიაში არსებობს ორი გაუყვალბეზელი არჩევნები — 1990 წლის 28 ოქტომბრისა, რომელსაც ეყრდნობა საქართველოს დამოუკიდებლობა და ავარდების რევოლუციის შემდგომი არჩევნები, რომლის შედეგები ზუსტად შეესაბამება ხალხის მაშინდელ ემოციურ განწყობას, რის გამოც მისი ობიექტურობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

დისკუსია დაიწყო სოციოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის გიორგი მაჭარაშვილის გამოსვლით. მისი თქმით, მარტვილის რაიონში საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებამ იგი ერთ აზრამდე მიიყვანა — ოპოზიციამ არ იცის, რა უნდა, რისკენ ისწრაფვის და როგორ მივიდეს შედეგებამდე. სამაგიეროდ, ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, როგორ მოიგოს არჩევნები. ყველა არჩევნების წინ, იმის მიხედვით, თუ რა ადმინისტრაციულ რესურსს ფლობს ხელისუფლება, იწერება ახალი საარჩევნო კოდექსი. ამ კანონს იგი პიროვნებებს არგებს, მერე კარგად კითხულობს და იაზრებს და ეს ხდება მაშინ, როცა ოპოზიციამ არ იცის — რა წერია კოდექსში. ჩემი დაკვირვებით, ისინი პირველივე წინააღმდეგობაზე ცენტრალურ ოფისს ურეკავენ და სანამ უპასუხებენ, როგორ მოიტყვენ, უკვე გვიანია.

რაც შეეხება დარღვევებს: რომელმა პოლიტიკურმა ძალამაც მოახერხა და რეგისტრაციული ფაზის წარმომადგენელი დასვა, ყველამ კარუსელი დაატრიალა, თუმცა ეს საერთო რაოდენობის მხოლოდ 3-5 პროცენტი შეიძლება ყოფილიყო. მთავარი ისაა, რომ სახელისუფლებო პარტიაში პირმინდად მოუგო ოპოზიციას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა თავისი მომხრეების სახლებიდან გამოყვანა ვერ მოახერხა, როცა ხელისუფლებამ საარჩევნო ყუთებამდე მისდასაკუთარ ამომრჩეველს. საერთო ჯამში კი მგონია, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარება არც ოპოზიციის და არც ხელისუფლების ინტერესებში არ შედის“, — განაცხადა გიორგი მაჭარაშვილმა. კითხვაზე — დაინერა თუ არა მისი სადამკვირვებლო უბანზე საჩივარი, მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ არ დაუნერა, რადგან, როცა ამის საჭიროება იყო, ოპოზიციის არც ერთმა წარმომადგენელმა საჩივარზე ხელი არ მოაწერა. მის ამ განცხადებას გამოეხმაურა ნინა ხატიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ დარღვევის შემთხვევაში საჩივრის არდაწერა სწორი არ არის, რადგან დამკვირვებლის მისია ეს არის და თანაც სასამართლოზე სულაც არ არის საჭირო მოწმეების გამოცხადება, თუ დარღვევების შესახებ საჩივარი იურიდიულად გამაყვებელია.

პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების IV კურსის სტუდენტმა თემურ სამებულაშვილმა განაცხადა, რომ დამკვირვებელი არ ყოფილა, მაგრამ იცის არჩევნების სპეციფი-

კა და ისიც, რომ საჩივრის დაწერა რეგიონებში ძნელია, რადგან ხშირია შანტაჟისა და დაშინების მცდელობები. მას დაეთანხმა ნინა ხატიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ სწორედ ამ მიზნით ჩაიყვანა ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ქვემო ქართლში დამკვირვებლები თბილისიდან.

ჟურნალისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტმა დათო ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ არჩევნების დღეს იგი რეზერვში იმყოფებოდა და თავისი თვალით ნახა, როგორ ახდენდნენ გავლენის ჯარისკაცები ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორ იყენებდნენ ისინი ადმინისტრაციულ რესურსებს.

საარჩევნო დარღვევების სხვა ტენდენციებზე ისაუბრა პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულების მაგისტრანტმა თამარ ქარაიამ. მან წამოაყენა ახალი სადისკუსიო თემა — ვისგან ყალიბდება საარჩევნო ადმინისტრაცია. მისი აზრით, ოპოზიციის მხრიდან დამკვირვებლად შემთხვევითი ხალხი იყო დაინიშნული. წინასაარჩევნო პერიოდში მარჯანიშვილის ქუჩაზე ფუნქციონირებდა მოხალისეთა ცენტრი, სადაც აგროვედნენ ადამიანებს, რომლებიც 160 ლარის მისაღებად თანახმა იყვნენ ნასულიყვნენ დამკვირვებლებად. შეინიშნებოდა ზოგადი ტენდენციაც — დამკვირვებელთა ასაკის მოულოდნელი და თვალმისაცემი გაახალგაზრდავება — ადამიანები, რომლებიც ღიად ვერ ბედავდნენ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოლიტიკური პოზიცია, განზე დგებოდნენ და 18 წლის შვილებს უშეგებდნენ ოპოზიციის დამკვირვებლებად. აქედან დასკვნა — ოპოზიციას არ აქვს ადამიანური რესურსი, რომ არჩევნებზე ჰყავდეს თავისი დამკვირვებელი და კომისიის წევრი“, — განაცხადა თამარ ქარაიამ.

იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ეკა ლუაშვილმა, რომელიც არჩევნებზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ წარმოადგენდა, განაცხადა, რომ მის მიმართ საარჩევნო უბანზე პატივისცემით იყვნენ განწყობილი. იყო შემთხვევები, როცა საჩივრის დაწერას აპირებდა, მაგრამ ეს აღარ გახდა საჭირო, რადგან კომისიის თავმჯდომარემ დარგვეა მყისიერად აღმოუხერხა. „მე უფრო სხვა რამ მაშფოთებს — საპრეზიდენტო არჩევნების დღეს საარჩევნო უბნის ეზოში იდგა მანქანა, რომლის ე.წ. „კოპოტზე“ გაშლილი იყო სუფრა, ჩართული იყო მუსიკა „მომა მაგარია“ და ახალგაზრდები ხმამაღალი ლოზუნგებით იქცევდნენ ყურადღებას. ცხადია, არჩევნების შედეგებზე ასეთი რამ გავლენას არ ახდენს, რადგან უბანზე მოსულმა ადამიანმა უსუსტად იცის, ვის უნდა მისცეს ხმა, მაგრამ საშინაო ახალგაზრდობის „ზომბირების“ ტენდენცია, რომელიც მომავალში ძალიან ცუდ შედეგებს მოგვცემს“, — განაცხადა ეკა ლუაშვილმა.

დისკუსია მრგვალი მაგიდის ფარგლებში კარგა ხანს გაგრძელდა. მოდერატორმა, პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება სტუდენტების ინიციატივა იყო, რაც მისასალმებელია, რადგან მათ მიერ დანახული საარჩევნო პროცესები იძლევა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად.



„საქართველოში არჩევნების ინსტიტუტი ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ ახალი დემოკრატიის ქვეყანა გვქვია, რაც ლამაზად კი უნდა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რეალურად ვართ საზოგადოება, რომელშიც დემოკრატია ჯერ დამკვიდრებული არ არის. აქ მიმდინარე პროცესები ზოგჯერ არადემოკრატიული ტენდენციით ხასიათდება. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ქვაკუთხედი უნდა იყოს ობიექტური და სამართლიანი არჩევნები, რომელიც რუტინული პროცესია.“

მრგვალი მაგიდა ეძღვნება არჩევნების დღეს და კონკრეტულად იმ სტუდენტების მოსახერხებებს, რომლებიც საარჩევნო უბნებში დამკვირვებლებად იყვნენ მიმაგრებულნი. ესენი არიან ადამიანები, რომელთა მხრებზეც არჩევნების სიმძიმე სულ მალე უნდა გადავიდეს, ამიტომ საინფორმაციო უბანში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ გაიაზრებენ ისინი ამ პროცესს,“ — განაცხადა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელი ნინა ხატიაშვილი, რომელმაც დისკუსიის დაწყებამდე საარჩევნო პროცესის საინტერესო დეტალებზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, როცა არჩევნების სა-

ბას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის იმის ჩვენების პრეტენზიაც კი არ ჰქონდა, რომ არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ცდილობდა. ამის გამო წინასაარჩევნო პერიოდში არ იხარჯებოდა იმდენი რესურსი, რამდენიც ახლა იხარჯება. დღეს არის მცდელობა, რომ ხმის მიცემის პროცედურა მეტ-ნაკლებად სამართლიანად ჩატარდეს, ამიტომ დარღვევების დიდი ნაწილი არა არჩევნების დღეს, არამედ წინასაარჩევნო პერიოდში ხდება. ეს ეხება ძირითადად სახელისუფლებო პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, რაც ადრეც ხდებოდა, მაგრამ ბოლო პერიოდში მასშტაბები ძალიან გაიზარდა,“ — აღნიშნა ნინა ხატიაშვილმა.

„ბოლო არჩევნებზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ამ არჩევნების წინ ხელისუფლება დაჯდა, ყველა აქამდე ჩატარებული არჩევნების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნები გადაიკითხა, გააანალიზა შეცდომები და შეეცადა, რომ საჯაროდ აღარ დაერღვია კანონი.“

მაგალითად, გუბერნატორები ადრე კანდიდატებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულნი წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ არჩევნებზე ამას აღარ აკეთებდნენ. სამაგიეროდ, გაცილებით დიდი რაოდენობის ფულადი თანხა დაიხარჯა ამომრჩევლის მოსახყიდად. დამკვირვებლები ამ თემაზე მუდმივად აპელირებდნენ, რის

# კლუბ „დისკუსიოს“ პრეზენტაცია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა გამართეს

26 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის ბაზაზე კლუბ „დისკუსიოს“ პრეზენტაცია გამართეს.

## მაია ტორაძე

კლუბის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ახალგაზრდობის აქტიურ ჩართვას ქვეყნის პრობლემების განხილვა-განაწილებაში. კლუბი აერთიანებს არა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს, არამედ ყველას, ვისაც სურს კვლევით სამუშაოებში ჩაება და წვლილი შეიტანოს როგორც აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ასევე პლურალისტური აზროვნების დამკვიდრებაში.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ კლუბი „დისკუსიო“ იქნება სტუდენტებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალება და ერთერთი წინაპირობა საქართველოში ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. აქ მოისმენენ საინტერესო იდეებს, მოაწყობენ საჯარო დისკუსიებს, საქველმოქმედო ღონისძიებებს.

კლუბის შექმნის ინიციატორებმა – ხატია ნადარაია, სოფო დავითურმა, მარიამ ჭიჭინაძემ და თეა ყიფშიძემ პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კლუბი იმუშავებს ღია საზოგადოების პრინციპით და ხელს შეუწყობს ადამიანის გონების თავისუფალ განვითარებას. აქ არ იარსებებს კრიტიკისა და დის-

კუსიისთვის აკრძალული თემები, ყველაფერი დაემყარება თავისუფლებას და თანასწორობას.

სტუდენტებს დაგეგმილი აქვთ, გამოუშვან ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაციის გაზეთი, რომელშიც აისახება ასოციაციის წევრების მოსაზრებები, სადისკუსიო კლუბში განხილული საკითხები და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მასალები. სტუდენტებს საშუალება მიეცემათ გამოაქვეყნონ თავიანთი მოსაზრებები სხვადასხვა პრობლემაზე. ასოციაცია დაფინანსდება სხვადასხვა პროექტზე მუშაობის შედეგად მოპოვებული გრანტებითა და შემოწირულობებით.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის ხატია ნადარაიას თქმით, სწორედ მას გაუჩნდა სტუდენტური ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა, რომელიც ლექტორს ამირან ბერძენიშვილს გააცნო. „ბატონმა ამირანმა მითხრა, რომ 2004 წლიდან არსებობდა ახალგაზრდა სოციოლოგთა ასოციაცია. ჩვენ შევხვდით ასოციაციის დამფუძნებლებს, რომლებმაც დაგვოცნახეს ოფიციალური დოკუმენტაცია — ასოციაციის წესდება და ბუქედი. ჩვენ მათ სამართალმემკვიდრედ ვითვლებით და გვინდა სადისკუსიო კლუბის ამოქმედებით ეს ორგანიზაცია ისევ გაავითცხოვოთ.“

ასოციაციას ჰქონდა კონკრეტული ამოცანები, ეწეოდა სამეცნიერო-გამომცემლობით და მთარგმნელობით მუშაობას, რომლის გაგრძელებას ჩვენც ვაპირებთ. ასევე დაგეგმილი გვაქვს თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან“, — განაცხადა ხატია ნადარაია.

კლუბის პრეზენტაციის დღეს სტუდენტ-



ებმა შეკრებილ საზოგადოებას მსჯელობისთვის წარუდგინეს მცირე საფაკულტეტო კვლევა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ. კვლევას აწარმოებდა 15 სტუდენტი. გამოკითხეს 350 ადამიანი, მათ შორის 300 სტუდენტი და 50 პროფესორ-მასწავლებელი. სადისკუსიო კლუბის პრეზენტაციამ სტუდენტური აქტივობის ფონზე ჩაიარა, რაც მოულოდნელი არ ყოფილა პროექტის ხელმძღვანელის, სოციოლოგის მიმართულების ასოცირებული პროფესორის ამირან ბერძენიშვილისთვის. „სტუდენტებმა ყველაფერი დამოუკიდებლად გააკეთეს. ჩვენ მხოლოდ მიმართულება მივეცით მათ და გვინდა, რომ ასეთი ინიციატივები კვლავც გაგრ-

ძელდეს. თუ გვსურს თავისუფალ და ღია საზოგადოებაში ცხოვრება, სტუდენტებიდან უნდა დავიწყოთ ახალგაზრდაში ღირსების გრძნობის გაღვივება, რადგან ჩვენ მართლ კვალიფიკაციის მქონე ადამიანს კი არ ვამზადებთ, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებებს ვზრდით. ამ მიზნის მისაღწევად სადისკუსიო კლუბის არსებობა და, ბუნებრივია, მისი წევრობა კარგი ნიადაგია“, — განაცხადა ბატონმა ამირან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში.

სადისკუსიო კლუბის პრეზენტაცია უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა.

## სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ფაკულტეტის კვირეულის ფარგლებში ორგანიზებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული აღმოჩნდა იმით, რომ სტუდენტებს საკუთარი კვლევების შედეგების პრეზენტაციის შესაძლებლობა მიეცათ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული კონფერენცია 26-27 ივნისს გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. 22 მოხსენებიდან 12 მოხსენება სოციოლოგიის, 5 — პოლიტიკური მეცნიერების, 2 — ფსიქოლოგიის, 2 — საზოგადოებრივი გეოგრაფიის, 1 — ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა წარმოადგინეს. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სამეცნიერო კვლევების შედეგებმა მაგისტრატურის სტუდენტების მოხსენებებს ბევრად გადააჭარბა. კონფერენციაში მხოლოდ 4 მაგისტრანტი მონაწილეობდა.

### სათუნა ხატიაშვილი

სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურში განსაზღვრულ ვადებში საკუთარი მოხსენების ტექსტს წარმოადგენდა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსის ნანა მაჭარაშვილის განცხადებით, თითოეულმა ნაშრომმა თავდაპირველად აპრობაცია გაიარა

შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო ნრეზე და დადებითი რეცენზირების შემდეგ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება მიიღო. საბაკალავრო პროგრამის I, II და III ადგილები ცალ-ცალკე განიხილდა, როგორც საბაკალავრო, ისე მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. მათი ნაშრომები სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილმა კომისიამ შეაფასა.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები: მარი ხუტაშვილი, მარინა ბურძინიძე, მარინა ვეკუა, შორენა თურქიაშვილი, რეზო ჯორბენაძე და ზვიად

აბაშიძე. სტუდენტების უმრავლესობამ მაღალი სამეცნიერო ღირებულების მქონე სამეცნიერო მოხსენება წარმოადგინა, ამდენად საპრიზო ადგილებს განაწილება კომისიისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

საბოლოოდ, კომისია დაეთანხმა საპრიზო ადგილების გაყოფის პრინციპს, რის შედეგადაც თითოეული საპრიზო ადგილი საბაკალავრო ნაშრომების შეფასებისას ორმა მოხსენებელმა გაიწილა. ბაკალავრებს შორის პირველი საპრიზო ადგილები ერგოთ: დავით საჭინავას მოხსენებისთვის; „საქართველოს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გეოგრაფიული ასპექტები“, ასევე — ნიკა ლოლაძესა და დავით გოგიშვილს ერთობლივი მოხსენებისთვის: „საქალაქო მინის გამოყენების თავისებურებანი თბილისის ცენტრალურ უბანში (ვაკის მაგალითზე)“. მეორე საპრიზო ადგილი გაიწილეს გიორგი მაჭარაშვილმა მოხსენებისთვის „2004 წლის საქონსტიტუციო ცვლილებები (პრეზიდენტის ინსტიტუტი)“ და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა: მაია ხოსიტაშვილმა, ნინო სირაძემ, ლიკა ძაგანიამ, გულიანო სამუშიამ პროექტისთვის „საკუთარ თავთან საუბარი“. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ თამარ ჭიპაშვილს მოხსენებისთვის: „პოლიტიკური იუმორი და სო-

ციუმი“ და გიორგი ცხადაიას მოხსენებისთვის: „მოდერნი თუ პოსტმოდერნი?“.

რაც შეეხება მაგისტრანტთა შორის საპრიზო ადგილების განაწილებას, პირველ ადგილზე აღმოჩნდა სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი ირაკლი კახიძე მოხსენებით „ელექტორალური მოქმედება და იმიჯის კონსტრუირება 21 მასის საპარლამენტო არჩევნებში“. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ირაკლი ლობჯინიძე თემით „საკრალური სოციალური: განჯადობიდან მოჯადობისაკენ“. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა თამარ ხოშტარას მოხსენებით „საქორწინო პარტნიორის არჩევის კრიტერიუმები (თბილისისა და ბერლინის შედარების მაგალითზე)“.

კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტების სამეცნიერო ნაშრომები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურში გამოქვეყნდება, ხოლო მათი პრეზენტაციები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება. ამავე დროს, პირველ ორ საპრიზო ადგილზე გასულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ საკუთარი მოხსენებები თსუ-ის საიუბილეო საუნივერსიტეტო სტუდენტურ კონფერენციაში მიიღონ მონაწილეობა.

## „ჩემი საყვარელი ვანუატი“ — ელზა ლომიძის პერსონალური გამოფენა

„ჩემი საყვარელი ვანუატი“ — ამ სათაურით გაიხსნა ელზა ლომიძის პერსონალური გამოფენა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში, რომელიც უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.

### შურთხია ბაროშვილი

ეგზოტიკური გარემო, ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ლაღი და ხალისიანი ვანუატოს რესპუბლიკის ხალხის ცხოვრება მხატვარმა თავისი თვალით ნახა და შთაბეჭდილებები ტილოზე გამოიტანა.

ელზა ლომიძე პროფესიით ჟურნალისტიკა, თუმცა ჟურნალისტურ მოღვაწეობას ხელი არ შეუშლია, რომ საკუთარი შესაძლებლობები სახვით ხელოვნებაშიც მოეხინჯა. როგორც

თვითონ იხსენებს, ჯერ კიდევ გაზეთ „მოლოდინო გრუზიის“ რედაქციაში მუშაობისას შექმნა საკუთარი ზღაპრებზე შექმნილი ილუსტრაციები.

ელზა ლომიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საკუთარი ბიძის, რუსული წარმოშობის ფრანგი მხატვრის ნიკოლოზ მიშუტუშკინის გაცნობამ. ისინი ერთმანეთს 1980 წელს თბილისში მონყობილი ოკეანის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების გამოფენაზე შეხვდნენ.

1993 წელს მიშუტუშკინ-პილიოკოს ფონდმა, რომელიც ოკეანის, ეთნოგრაფიულ და კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების საქმეს ემსახურება, ელზა ლომიძე ვანუატუს დედაქალაქ პორტილაში კუნძულ ეფატაზე მიიწვია, სადაც იგი ნიკოლოზ მიშუტუშკინისა და ალიოს პილიოკოს ხელმძღვანელობით ბატიკაში მუშაობდა.

მართალია, ელზა ლომიძე თავს პროფე-

სიონალ მხატვრად არ მიიჩნევს, მაგრამ სპეციალისტები მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ. ისინი თვლიან, რომ მოყვარული მხატვრის ნამუშევრებში ევროპულ აზროვნებასთან ერთად იგრძნობა აბორიგენული ხელოვნებისა და ალიოს პილიოკოს სკოლის მხატვრული სტილის გავლენა.

ელზა ლომიძე საქართველოდან მადლობას უთვლის ვანუატუს პრეზიდენტს შან-მარიე ლენელკაუ მანატავიას და პრემიერ-მინისტრს ვისტერ რიალუტ სერჟო ბოტორს იმ ყურადღებისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მისი შემოქმედებისადმი, ფინანსური მხარდაჭერისთვის კი — ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“.

ელზა ლომიძე ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკას ასწავლის სტუდენტებს, მხატვრობა კი მის შეუცვლელ, სერიოზულ გატაცებად რჩება.



# „სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნება საქართველოში“

## საერთაშორისო კონფერენცია

1-2 ივლისის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „სოციალური მუშაობის განათლება, პროფესია და პრაქტიკა საქართველოში“, რომლის ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება და საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაცია.

კონფერენცია გახსნა პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა. მან აღნიშნა, რომ თსუ-ის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება წელიწადში ახორციელებს ევროკავშირის TEMPUS – ისა და TACIS – ის პროექტს „სოციალური მუშაობის განათლების დაფუძნება საქართველოში“ (ESWEG).

### მანია ტორაძე

პროექტი სამწლიანი იყო და მისი განხორციელება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2005 წელს დაიწყო.



პროექტი — „სოციალური მუშაკის განათლება, პროფესია და პრაქტიკა საქართველოში“ 2008 წლის აგვისტოში დასრულდა. კონფერენციის მიზანი სწორედ ამ სამწლიანი ინტენსიური მუშაობის შედეგებზე დასრულებული სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროფესიაზე, მის პერსპექტივებზე, დასავლეთში არსებულ გამოცდილებებსა და ამ გამოცდილების დადასტურებას საქართველოს საზოგადოებაში.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ. მან მადლობა გადაუხადა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებს და პარტნიორ უნივერსიტეტებს განულოცოდა დასწრებისთვის და აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკის განათლების დანერგვა საქართველოში არ არის ლოკალური პროგრამა. „ეს არის მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სოციალური მისიის განხორციელებას. ვფიქრობ, საქართველოში ამ მიმართულების განვითარების პერსპექტივა არსებობს. ჩვენ ამისთვის ბევრი რამ გვაქვს და მომავალშიც ვაპირებთ ხელს შეუწყობთ პროგრამის დადასტურებას საზოგადოებაში. ახლო მომავალ-

ში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რამდენიმე წელიწადი უცხოურ უნივერსიტეტთან ერთობლივ პროექტების განხორციელებას გეგმავს, რაც ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებით დასრულდება“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატის უფროსმა, მინისტრის მრჩეველმა სოციალურ საკითხებში დევი ტაბიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სოციალური მუშაკის ინსტიტუტი აქტიური სეგმენტია სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის. „სოციალური მუშაკობა არის პროფესია, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებას და ადამიანებს საზოგადოებასთან ადაპტაციაში დაეხმარება. პროექტი წარმატებული იყო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კვლავაც მხარს დაუჭერს მის განვითარებას“, — განაცხადა მან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა ზრუნვის სამსახურის უფროსმა თამარ გოლუბიანმა აღნიშნა, რომ საქართველოში არსებობს სოციალური მუშაკების საჭიროება, რის გამოც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტის გახსნისთანავე ჩაერთო ამ მიმართულების მხარდაჭერის პროგრამაში. „დღეისათვის სამინისტროს ჰყავს სოციალური მუშაკები, რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და ბავშვებზე ზრუნავენ. მთავარია, რომ ბავშვს ოჯახი შეუნარჩუნდეს, სწორედ ეს არის სოციალური მუშაკის მოვალეობა. ახლო მომავალში დაგეგმილია სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა. ამიტომ გვინდა კიდევ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებასთან და საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაციასთან“, — განაცხადა თამარ გოლუბიანმა.

ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოში პერ ეკლუნდმა წარმოადგინა უსურვა და მადლობა გადაუხადა პროექტის ყველა მონაწილეს. „ამ პროფესიის განვითარებას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყანა გარდაამავალ პერიოდში იმყოფება და ბევრ ადამიანს უჭირს. მათი დახმარება სწორედ პროფესიონალ კადრებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში უზარმაზარი სამუშაო ჩატარდა, ბევრი ადამიანი გადაამზადდა, აღიზარდა ახალი

კადრები, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ შეიძლება პროექტი დაგვიანდეს, მაგრამ ადამიანების მხარდაჭერის გარეშე მისი განხორციელება წარმოდგენილია“, — განაცხადა პერ ეკლუნდმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა UNICEF-ის წარმომადგენელი საქართველოში კენდრა გრეგსონი. მან განაცხადა, რომ სოციალური მუშაკის განათლების სფეროში TEMPUS – ის პროექტის დახმარებით მომავალშიც ბევრი პროექტი განხორციელდება.

გაეროს ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია UNICEF საქართველოში უამრავ სოციალურ პროგრამას ეხმარება, მათ შორის არის „სოციალური სისტემის განვითარება“ და „სოციალური ცვლილებების განვითარება“. ამ სფეროებში მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციალური მუშაკობა. „ვიცი, რომ საქართველოში უკანასკნელ ხანს 80 სოციალური მუშაკი გადაამზადდა, რაც პატარა მაჩვენებელი არ არის. პენიტენციური სისტემაში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და განათლების სისტემაში სოციალური მუშაკების საჭიროება დღეს აშკარაა, ამიტომ, რაც უფრო მეტი პროფესიონალი კადრი გვეყოლება, მით მეტად დავეხმარებით სოციალურად დაუცველ ფენას საზოგადოებასთან ინტეგრირებაში“, — განაცხადა კენდრა გრეგსონმა.

TEMPUS-ის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელმა თამარ წულუკიძემ აღნიშნა, რომ პროექტი — „სოციალური მუშაკის განათლების დაფუძნება საქართველოში“ სრულიად ახალი იყო საქართველოსთვის და ქართული საუნივერსიტეტო სფეროსთვის. ამ პერიოდში პროექტის წარმატებისთვის ძალიან ბევრი რამ გვაქვდა მონაწილე მხარეების პროფესიონალების მეშვეობით.

„მინდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი მთლიანად პასუხობს ბოლომის პროცესის მოთხოვნებს და, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობას უმაღლესი განათლების შესახებ. ამ პროექტით ასევე საფუძვლიანი ჩაეყარა ევროპის უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს მნიშვნელოვან მოთხოვნას — სიცოცხლის ბოლომდე განათლების მიღების განხორციელებას.

ასევე უნდა აღვნიშნო, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ევროკომისიის ერთ-ერთი პრიორიტეტი გახლავთ უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის გამყარება და განვითარება, რომელიც იგულისხმება კონტაქტები როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სფეროსთან. ეს პროექტი არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებთან უნივერსიტეტის წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია“, — განაცხადა თამარ წულუკიძემ.

პროექტის აკადემიურმა ლიდერმა, დიდი ბრიტანეთის შეფილდ ჰალამის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ დოულმა კონფერენ-

ციებზე ნაიკითხა მოხსენება — „სოციალური მუშაკის განათლების დაფუძნება საქართველოში (ESWEG) — პროექტი საერთაშორისო კონტექსტში“, სადაც საუბარი იყო მრავალეროვნული პროექტების შესაძლებლობებსა და სირთულეებზე, იმ გამოცდილებაზე, რაც პროექტის მონაწილეებმა სამწლიანი მუშაობის განმავლობაში დააგროვეს.

ESWEG პროექტის აკადემიურმა ლიდერმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა მოხსენებაში — „სოციალური მუშაკის განათლების დაფუძნება საქართველოში“ — პროექტის ძირითადი შედეგები, ისაუბრა ESWEG პროექტის შედეგებზე, სოციალური მუშაკის სფეროში საბაკალავრო, სამაგისტრო და სერტიფიცირების კურსულუმების შექმნაზე, ამ პროექტის ფარგლებში თსუ-ში სარესურსო ცენტრის დაფუძნებაზე, აკადემიური ტესტირების (სახელმძღვანელოებისა და ქრესტომათიების) თარგმანზე და გამოცემაზე, თანამშრომლობაზე, რომელიც პროექტის მიმდინარეობის დროს დამყარდა სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების პროფესორმა, ESWEG პროექტის აკადემიურმა ლიდერმა იაგო კაჭკაჭიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი თანაპარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების — შეფილდ ჰალამისა (დიდი ბრიტანეთი) და ლუბლიანის უნივერსიტეტების (სლოვენია) თანამონაწილეობით. სოციალური მუშაკის სპეციალობა დაარსების დღიდანვე სტრუქტურულად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, რამაც დიდად განაპირობა პროექტის წარმატება. „ჩვენ 2006 წლიდან დავიწყეთ ბაკალავრების მომზადება. იმ წელს მიღებული პირველკურსელებიდან 22-მა სტუდენტმა სოციალური სამუშაო ძირითად სპეციალობად აირჩია, 45-მა კი — დამატებით სპეციალობად. ვფიქრობ, მათი ინტერესი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ საქართველოში დღეს სოციალური მომსახურების ბაზარი არ არის გაჯერებული საკმარისი რაოდენობის სოციალური მუშაკით. ეს არის პროფესია, რომელიც ახლა მკვიდრდება საქართველოში და პერსპექტიულია იმ გაგებით, რომ დასაქმების ადგილები არსებობს.

უნდა აღვნიშნო, რომ სოციალური მუშაკობა სახელმწიფო მიერ რეგულირებადი სპეციალობად გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სახელმწიფოს ზრუნვისა და კონტროლის რანგში იქნება აყვანილი, რაც კიდევ უფრო გაზრდის სოციალური მუშაკობის, როგორც სპეციალობის პრესტიჟს და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივას“, — განაცხადა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

კონფერენციაზე, გარდა მოხსენებებისა, გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომელზეც მონაწილენი ჯგუფებად დაიყვნენ და სოციალური მუშაკის სფეროში არსებულ სხვადასხვა პრობლემებზე იმსჯელებდნენ.

## თურქულ-ქართული საერთაშორისო სემინარი

23-28 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თურქულ-ქართული საერთაშორისო სემინარი: „მეგობრული ურთიერთობა და აკადემიური თანამშრომლობა თურქეთსა და საქართველოს შორის“ მიმდინარეობდა.

### თამარ მარუაშვილი

თსუ-ის რექტორი გიორგი ხუბუა მიესალმა თურქეთის წარმომადგენლობით დელეგაციას და თურქეთის ელჩს ერთად თეზგორს დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი გამოჩენილი ყურადღებისთვის. მანვე აღნიშნა, რომ სწორედ ელჩის მხარდაჭერით გაიხსნა თსუ-ში „თურქული აუდიტორია“, რომელიც აქტიურად მუშაობს. რექტორის თქმით, თურქეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება საკმაოდ მცირე პერიოდში მნიშვნელოვან წარმატებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თსუ-ის რექტორმა ისაუბრა თურქეთის ეკონომიკურ წარმატებებზე. იგი დადებითად აფასებს თურქეთის უნივერსიტეტების განვითარების დინამიზმს და თურქეთს დემოკრატიის ნიმუშად მიიჩნევს.

„უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველო-თურქეთს შორის ურთიერთობ-

ბა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მომავალში სამეზობლო პოლიტიკის კიდევ უფრო განვითარება და გაღრმავება სწორედ ახალგაზრდების პერეოგაციაა. ამიტომ ასეთი სახის შეხვედრები და სემინარები ძალზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. ჩვენი მიზანია არა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესება, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა განათლების სფეროშიც.

თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მშვიდობასა და სტაბილურობას, მის ინტეგრაციას ნატოში. თურქეთმა და საქართველომ შეიმუშავეს მეგობრობის კომპლექსური ტერმინოლოგიის განვითარების ორივე ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთთანამშრომლობისთვის“, — აღნიშნა თურქეთის ელჩმა საქართველოში ერთად თეზგორმა, რომელმაც 24 ივნისს თსუ-ში საინტერესო სემინარი ჩაატარა თეზგორმა: „პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობები საქართველოსა და თურქეთს შორის“.

ელჩი გამოხმაურა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ შექმნის შესახებ და მხარი დაუჭირა მას.

„ჩვენ გეოგრაფიას ვერ შევცვლით, ჩვენ ვართ და ვრჩებით მეზობლებად, ამიტომ უნდა

ვიზრუნოთ ერთმანეთის კეთილდღეობასა და განვითარებაზე. როგორც ვიცით, თურქეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და იმედი მაქვს, რომ ექსპორტი და იმპორტი ამ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება“, — აღნიშნა თურქეთის ელჩმა.

მან ისაუბრა, აგრეთვე, საქართველოში თურქული ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობაზე. თურქეთის მხარე საქართველოში 70 მილიონი ინვესტიციის ჩადებას, ქართული კომპანიების ნახალისებასა და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას აპირებს.

თურქეთის ელჩი საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამების მნიშვნელობასაც შეეხო და მრავალმნიშვნელოვან განაცხადა, რომ XXI საუკუნე იქნება სამავალეთო საუკუნე თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში.

თსუ-ის პროფესორმა, ალექსანდრე რონდელიმ დიდი მადლიერებით გაიხსენა 1991 წელი, როდესაც თურქეთი ქართველებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში დაეხმარნენ. „რომ არა თურქეთის მხარში დგომა, საქართველო ალბათ ვერ გადაარჩებოდა“, — აღნიშნა მან. ალექსანდრე რონდელის მოხსენების „თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული ვითარება და მისი მნიშვნელობა კავკასიაში მშვიდობის და სტაბილ-

ურობისათვის“ დიდი ნაწილი სამხრეთ კავკასიაში თურქეთის როლის მნიშვნელობასა და გააქტიურებას შეეხებოდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განსაკუთრებით გაიზარდა.

„რუსეთი იმპერიული ქვეყანაა, თურქეთი კი პოსტიმპერიული. რუსეთის ინტერესები იმპერიული ხასიათისაა, ხოლო თურქეთი მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიანია, — აღნიშნა ალექსანდრე რონდელმა. მან ისაუბრა აგრეთვე თურქეთ-სომხეთის პრობლემურ ურთიერთობებზე, რისი მიზეზიც არის ის, რომ თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს ყარაბაღის ტერიტორიასთან მიმართებაში.

პროფესორი რონდელი თავის მოხსენებაში შეეხო თურქი და ქართველი ხალხის ისტორიულ და თანამედროვე ურთიერთობებს, ორივე ქვეყნის მნიშვნელოვან როლს კავკასიაში გლობალიზაციისა და ინტეგრაციის განვითარებისათვის.

სემინარის მონაწილენი აქტიურობდნენ ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვისას და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ საკუთარ შეხედულებებს. თურქულ-ქართულმა საერთაშორისო სემინარმა წარმატებით დასაწყობადა იმუშავა და ახალი გზები დასახა თურქულ-ქართული აკადემიური და მეგობრული ურთიერთობების ახალ სიმაღლეებზე ასაცანდა.

# რატომ ჰერეთი და არა საინგილო?

ის, რომ ტერმინი „ინგილო“ არ არის ეთნიკური ტიპის აღმნიშვნელი, მრავალჯერ თქმულა, მაგრამ ისტორიულ და სამართლებრივ ჭრილობაში ამის განხილვა კიდევ უფრო მყარ საფუძველს მოგვცემს და შექმნის უკეთეს ნიადაგს, რათა საუკუნოვანი უსამართლობის დამადასტურებელი სახელწოდება „საინგილო“ სრულიად ჩანაცვლდეს ჭეშმარიტი სახის გამოხატველი ტერმინით — „ჰერეთი“.

უძველესი დროიდან იმ მხარეს, სადაც დღეს ე.წ. „ინგილოები“ მოსახლეობენ, ერქვა ჰერეთი, მკვიდრ ქართველებს კი ჰერები, ანუ ჰერელები, რომლებიც ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ საერთო ქართული კულტურის, ენის განვითარებაში, მართლმადიდებლობის გავრცელებასა (პიმენ სალოსიდან დაწყებული) თუ სხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში. ამასთანავე ჰერელები კახელებთან ერთად ერთიანი ქართული არმიის შემადგენელი ფრთას ქმნიდნენ.

XV საუკუნის მიწურულს ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაყოფამ ჰერეთს, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენ განაპირა კუთხეებს, დიდი დარტყმა მიაყენა (იგულისხმება თავდაცვისუნარიანობა პირველ რიგში).

ჯერ კიდევ კახეთ-ჰერეთის პირველმა მეფემ გიორგი I-მა (1467—1476წწ) ახალბედა სამეფოს შინაგანი ურღვეობისთვის თითქოსდა პრაქტიკული გადაწყვეტილება მიიღო და გააუქმა სახელწოდება „ჰერეთი“: „მოისპო სახელი ჰერეთისა და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ, ხოლო ჰერეთს უწოდებდნენ შემდგომად, აწამდე განყოფილ ესრეთ: გაღმა-მხარს, ელისენს“. (გ. ბატონიშვილი, აღწერა სამეფოებისა საქართველოისა). ამათგან პირველი მოიცავდა აღაზნის ჩრდილოეთ ნაწილს, რომლის აღმოსავლეთი საზღვარი ლაგოდეხი იყო, ხოლო კაკ-ელისენის დასავლეთი საზღვარი ლაგოდეხიდან იწყებოდა და მოიცავდა ყოფილი ზაქათალას ოლქის, ახლანდელი ე.წ. „საინგილოს“ ტერიტორიას.

გიორგი I-ის რეფორმებს თავისი მიზეზები ჰქონდა: კახეთში გამეფებამდე გიორგი I იყო სრულიად საქართველოს მონარქი გიორგი VIII-ის სახელით, რომელიც შეენირა ქვეყნის შიდა ადმინისტრაციული ერთეულების მმართველთა თვითნებობასა და ძალადობას. შედეგად მას ხელთ შერჩა მხოლოდ ტერიტორიული თვალსაზრისით ორი მეტნაკლებად თანაბარი ზომის რეგიონი: კახეთი და ჰერეთი. ეს კი სამფლობელომეცირებულ გიორგი პირველს იმავეს უქადდა, რისი მწარე გამოცდილება ერთიანი საქართველოს მეფე ყოფნის დროს ჰქონდა მიღებული. თუ ახლად შექმნილ ქვეყანაში (კახეთ-ჰერეთში) იურიდიულად იარსებებდა ორი მოზრდილი ადმინისტრაციული მხარე, ცხადია მათ უნდა ჰყოლოდათ თავიანთი პოლიტიკური მმართველებიც, რომელთა გავლენიანობა ფეოდალურ სამყაროში ხელისუფლების უცილობელ დეცენტრალიზაციას გამოიწვევდა.

ამდენად, ერთ ქვეყანაში ორი ამგვარი მმართველის არსებობა სამეფო ტახტისთვის რეალური საფრთხე იქნებოდა. ქვეყნის ორფუძიანი სახელწოდებაც კახეთ-ჰერეთის მთლიანობისადმი არაკეთილისმუსურველ პირებს ინტრიგული პროეკაციებით მანიპულირების ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა, რადგან მათი მიზანი ყოველთვის იქნებოდა მმართველი კახეთისა და ჰერეთის ორ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის არამყარ გაერთიანებად წარმოჩენისკენ. მიუხედავად ისტორიული რეალობისა (რომ კახელები და ჰერელები ერთურთისაგან თითქმის არაფრით განირჩეოდნენ) ფორმალურ მხარეს (ორსახელიანობის თეორია) სამართლებრივი კუთხით საფრთხისშემცველობა ნამდვილად ჰქონდა. ამდენად გიორგი I-ს სრულიად ლოგიკურად ქვეყნისათვის უნდა დაეტოვებინა ერთი სახელწოდება და მან საკმაოდ კანონზომიერ მიზეზთა გამო არჩევანი „კახეთზე“ შეაჩერა. რა თქმა უნდა, მაშინ იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე მავანთ ჰერელებისთვის შეიძლება „ინგილოები“ ეწოდათ.

ამრიგად კახეთ-ჰერეთს ეწოდა კახეთი. იგი დაიყო ოთხ სადროშოდ, რომელთაგან ორი (მთლიანად) იყო ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე (1. გაღმა-მხარი — ახლანდელი ყვარლის რაიონი და ლაგოდეხის ნაწილი; 2. კაკ-ელისენი — ახლანდელი ბელაქანი, ზაქათალა, კახი, ნახური). მედროშენი კი გახდნენ სასულიერო პირები, რადგან მათი

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღესაც კი აზერბაიჯანის სამ რაიონში (ბელაქანში, ზაქათალასა და კახში) კომპაქტურად მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა ძირდავლი კუთხის ჰერეთის შვილები არიან, ხშირად ინგილოებს უწოდებენ. ეს კი ნებისმიერ ჰერელისთვის, რომელიც იცნობს ამ ტერმინის წარმომავლობასა და მის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას, მეტადრე ახალგაზრდობისთვის, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი, უხერხული და არასასიამოვნო ემოციის მომგვრელია. თუმცა, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ინტენსიური მცდელობისა, ქართულ მედიასივრცეში, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ერთგვარ ყალიბის როლს ასრულებს, უფრო ხშირად ისმის არამართებული ტერმინი „ინგილო“ და „საინგილო“, რაც სხვა არაფერია, თუ არა საკითხისადმი არაკვალიფიციური, არაპროფესიონალური მიდგომა.

მაინც რატომ ძნელდება ამ არამართებული ტერმინის ხმარებიდან ამოღება და საერთოდ, რამ შექმნა საფუძველი მისი დამკვიდრებისა?!



ინტერესები საერთო კუთხით ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა. თავის მხრივ სადროშოები დაიყო წერილ-წერილ სამოურავოებად, რომელთა მმართველები მეფეს ვერასოდეს შეეცილებოდნენ პოლიტიკურ ძალაუფლებებში.

ამრიგად, XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე სახელწოდება „ჰერეთი“ ამოვარდა ოფიციალური დოკუმენტებიდან. იწოდებოდა კი იგი XVIII საუკუნემდე არსებობდა. უპატრონო ნათქვამია — „ეკელისას ეშმაკები დაეპატრონენო“ და უსახელოდ დარჩენილ ჰერეთსაც განგებამ მალე არგუნა დამამკირებელი სახელი — „საინგილო“. ამ ტერმინის გაჩენა ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ნიშანია.

1616 წელს შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ, რომელსაც მოჰყვა ამ მხარის ქართველი მოსახლეობის კატასტროფული შემცირება დაღუპულთა და ირანში გადასახლებულთა ხარჯზე, კაკ-ელისენში დაიწყო ლეკთა და თათარ-თურქმენთა ჩამოსახლების ინტენსიური პროცესი. მომავალში ამას მოჰყვა დაღესტნიდან სამხედრო თვალსაზრისით ლეკები „გამოკვებილი“ ჩამოსახლებული ლეკების მიერ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის დაყმევება. დამონებულ მოსახლეობაზე ხარკის სახით შეწერილი ყოველწლიური გადასახადი — „ქეშქელი“ სულს ხდიდა ქართველობას. მათზე კი, ვინც გამაჰმადიანდებოდა, გარკვეული შეღავათები ვრცელდებოდა. ერეკლე II-ის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ქართველთა ინტენსიური გამაჰმადიანების პროცესი ტერორისა და დამინების საფუძველზე. სახალხოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად სწორედ გამაჰმადიანების შემდგომ ეწოდა ჰერეთის მკვიდრ ქართველს „ინგილო“ (ახლად მორჯულებული, თურქულად — „იანგილი“). მეციურებაში ტერმინის წარმოშობის შესახებ სხვა მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული შეხედულებებიც არსებობს, თუმცა პირველად ტერმინი „ინგილო“ ჩნდება XIX საუკუნის რუსულ წერილობით დოკუმენტებში. რუსული დოკუმენტები კი განმარტავენ: „Коренними же жителями Закавказского округа были грузины, которые поднов власти ступившихся с кавказских гор и покоривших восточную часть Кахети лезгин (ლეკი), мало по малу сими последними обращены в мусульманскую веру, причём получили название ингело (новообращенный) (ზაქათალას ნოდებრივ საადგილმამულო დროებითი კომისიის ჟურნალი, მ. დუმბაძე,

საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქანის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, თბ. 1948, 4, გვ. 497, 557).

რაოდენ არგუმენტირებულიც უნდა იყოს ტერმინის წარმოშობის საფუძველების შესახებ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება, იგი ვერ შეცვლის ამ ტერმინის (ინგილო-საინგილო) იდეოლოგიურ-შინაარსობრივ დატვირთვას. ნებისმიერ შემთხვევაში ამის საჭიროება არ არსებობს, რადგან არაეთნიკური ტერმინი, იქნება ეს „ახლადმოქცეული“ თუ საუკეთესო შემთხვევაში „ვაჟაკი“ ან „უდრეკი“, ვერ შეცვლის ეთნიკურ სახელწოდებას, რომელსაც ისტორიული საფუძველი გააჩნია. ე.წ. „ინგილოები“ არიან ჰერელები, შესაბამისად ე.წ. „საინგილოც“ „ჰერეთია“. მეტი დამაჯერებლობისთვის და ცალკეული უსაფუძვლო ეჭვების გაქარწყლების მიზნით ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით საჭიროა აქვე მოვიყვანოთ ის მტკიცე არგუმენტაცია, რომელიც ამ ფუნდამენტურ საკითხთან დაკავშირებით (რატომ უნდა ერქვას ე.წ. „ინგილოს“ ჰერელი და ე.წ. „საინგილოს“ — ჰერეთი) ნებისმიერ კითხვას პასუხს გასცემს. მათ შორის ყველაზე საგულისხმო საკითხებს აქვე განვიხილავთ:

— ისტორიული ჰერეთი ხომ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ე.წ. „საინგილო“?

— საზღვრების შემცირება არ შეიძლება იქცეს სახელწოდების შეცვლის მიზეზად. საქართველოს ტერიტორია უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში არავითხელ შემცირებულა, თუმცა საქართველოს კვლავაც საქართველო ჰქვია.

— ჰერეთი საქართველოსთან შეერთებამდე ალბანეთის ნაწილს შეადგენდა, ჰერელებიც ალბანელები ხომ არ იყვნენ?

— ყველა ისტორიული წყარო, რომელიც ჰერელი/ჰერი არის ნახსენები, ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობს მონათესავე ტომთაგან შემდგარი ეთნიკური სუბიექტის ერთ წარმომადგენელს — კახელების, ქართელების, იმერლების, მესხების, რაჭველების (და ა.შ.) გვერდით. აღნიშნული კითხვა გამოწვეულია ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის (ძვ.წ.64—ახ.წ.24) გეოგრაფიაში დაცული ცნობით, რომლის მიხედვით ალაზნის მარცხნივ მცხოვრები ტომები ახლად გაერთიანებული ალბანეთის 26 ტომისაგან შემდგარ სახელმწიფოში შედიან. ამ კითხვაზე პასუხის საძიებლად შორს ნასვლა არ არის საჭირო, რადგან თითო სტრაბონი შენიშნავს, რომ აღნიშნული ტომები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ცხ-

ოვრობენ, ჰყავთ თავთავიანთი მმართველები და თითოეულს თავისი სალაპარაკო ენა გააჩნია. აქედან შეგვიძლია ლოგიკურად დავასკვნათ, რომ ჰერელების ენა დანარჩენი ტომებისაგან განსხვავებულია. ამავე დროს იგი ენათესავება იბერიებს ენას, რადგანაც ძვ. წ. IV საუკუნიდან გაძლიერებულ იბერიას, როდესაც მისი საზღვრები თანდათან ფართოვდებოდა, აღმოსავლეთით შემხვედრი ჰერების ექსპანსია არ მოუხდენია (ვიცით როგორ მოხდა ძვ. წ. XIII საუკუნეში ასურელთა მიერ ქართველური ტომების ექსპანსია, რის შედეგადაც უკანასკნელი გაიფანტნენ სხვადასხვა მიმართულებით. დიდი ნაწილი კი ანატოლიის მთებს შეაფარა თავი. აქედან უკვე ძვ.წ. VII საუკუნეში კიდევ ერთხელ მოხდა მათი ექსპანსია ძველი სამყოფელის — კავკასიის მიმართულებით, სადაც შექმნეს იბერიის სახელმწიფო). პირიქით, მოხდა მათი დანათესავება, რაც სწორედ სალაპარაკო ენის მსგავსებით უნდა აიხსნას. ჰერები წარმოადგენდნენ ქართველური ტომების იმ ნაწილს, რომლებმაც ძვ. წ. XIII ს. ასურელთა ლაშქრობების შედეგად აღმოსავლეთისაკენ აიღეს გეზი. იბერიის სამეფოს გაფართოების შედეგად კი 2 მონათესავე ტომის შეხვედრა მოხდა დიდი ხნის განშორების შემდეგ. ამდენად, ალბანეთის სივრცეში შემავალ ჰერელებს ისევე არ შეიძლება ეწოდოთ ალბანელები, როგორც, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილო-კავკასიელებს (ჩეჩენებს, დაღესტნელებს, ქისტებს, ინგუშებს, ადიღელებს) რუსები.

— კახეთის მეფე გიორგი I-ის მიერ სახელწოდება „ჰერეთის“ გაუქმება გვაძლევს თუ არა საბაზს ე.წ. „ინგილოებს“ ეწოდოთ კახელები?

— სახელწოდების შეცვლას თავად ხალხის ტიპის, კილოს შეცვლა არ გამოუწვევია. გიორგი I-ის შემდეგაც ჰერები დიდხანს იწოდებოდნენ ჰერებად. თვით საფრანგეთში 1723 წ. ქართლის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის სულხან საბა ორბელიანის (და სხვათა) რეკომენდაციით შედგენილ რუკაზე ჰერეთი ჰერეთად არის მოხსენიებული (რუკა იხილეთ ი. მათურელის ნაშრომში „ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“).

ეს მშვენიერი ტერმინი ქართული ენის სინთეზური შესაძლებლობის ბრწყინვალე ნიმუშია, და როგორც დიმიტრი ჯანაშიელი მიუთითებს, მას სახლბოთი მრავლობის რიცხვის, მინათმოქმედ მხედართა დამოუკიდებელი სოციალური ფენის აღმნიშვნელი ძირი — „ერი“ უდევს საფუძვლად (აღწერა. გვ. 22). შესავალ მის მომხიბვლელობას ჯაფოს-ნური „ჰაე“-თი ჰარმონიულად შეკავშირდამშვენიერებული კეთილშობიანება განაპირობებს და დასასრულ ქართულ ენაში ადგილის აღმნიშვნელი „თი“ სუფიქსთან სინერგიის შედეგია სახელწოდება „ჰერეთი“.

აქვე საჭიროა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. ჰერეთის შვილნი, გამოჩენილი ქრთველი მოღვაწენი დიმიტრი ჯანაშიელი, რ. ივანიძე და სხვანი ხშირად „ინგილოს“ ფსევდონიმით სარგებლობდნენ. რა იყო ამის მიზეზი? მათ ხომ მშვენიერად უწყოდნენ, რომ ე.წ. „ინგილოები“ ჰერელები არიან? (ვახ. „საქართველო“ 1917-1921; დიმიტრი ჯანაშიელი, ჰერეთის ისტ. გეოგრაფ. აღწერა, 2000) საქმე იმაშია, რომ XX საუკუნის დასაწყისში საკითხი სხვაგვარად იდგა. მაშინ „ინგილო“ იყო ტერმინი, რომელიც იმ ხალხის „თათრობის“ შესახებ გავრცელებულ ხმებს უარყოფდა, რადგან „ინგილო“ მხოლოდ ეროვნებით ქართველ ხალხს ეწოდა უარგონულად გამაჰმადიანების შემდეგ და არა სხვა რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს. ამდენად „ინგილო“ იყო საშუალება ქართველობის გამოხატვისა. (სხვა არაფერია, თუ არა ბედის სიმუხტული — ბრძოლა გინევდეს არაეთნიკური სახელწოდებისათვის, რათა ცუდსა და უარესს შორის ბერკეტად გამოიყენო — ცუდამდე მისაღწევად). სწორედ ამიტომაც, რომ დღეს ძნელდება ამ მყარად ფესვგადგმული უცხოთაგან ხელოვნურად შექმნილი ტერმინის ამოძრკვა და ისტორიული ქართული სახელწოდების „ჰერეთის“ დამკვიდრება ხმარებაში. თუმცა თუ სამართლიანობის აღდგენის სურვილი არსებობს, სამართლიანობა გაიმარჯვებს!

მსილ პაპიაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტი

# ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენცია ტორინოში

გლობალური ეკონომიკის თანამედროვე პროცესებმა აქტუალური გახდა გენდერული და სოციალური თანასწორობის პრობლემები. 2003 წლიდან მსოფლიოს ფინანსურმა ინსტიტუტებმა, მათ შორის, მსოფლიო ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გენდერულად ორიენტირებული სამოქმედო პროგრამა შემუშავეს. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები დიდ ყურადღებას უთმობენ გენდერული სწავლების პროგრამასა და გენდერული ეკონომიკის სხვადასხვა კურიკულუმის შემუშავებას.

ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IA-FEE), რომელიც ეკონომიკის სფეროში მომუშავე მეცნიერულ პოტენციალს, მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს აერთიანებს.

ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო ყოვლისა "Feminist Economics" სისტემატურად აქვეყნებს გენდერულ ეკონომიკაზე მომზადებულ სტატიებს, რეცენზიებს, დებატების ანალიზს. აღსანიშნავია, რომ ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს 1998 წლის ნობელის პრემიის ლაურეატთან ეკონომიკის დარგში, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ ამართა სენტანს. მისი წიგნები — "ეკონომიკური უთანასწორობა", "რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა, არჩევანი და კეთილდღეობა", "რესურსები, ფასეულობები და განვითარება" — გლობალურ ეკონომიკაში გენდერული თანასწორობის მნიშვნელობას აღიარებენ.

გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინადადეგობრივი განვითარების შედეგია. იგი ყველაზე უფრო მეტად ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე ვლინდება. საკუთარი ქონების არარსებობა ან სიმცირე, კვალიფიკაციის დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდულობა, არაფორმალურ სექტორში მუშაობა, განსხვავებული შემოსავლები დიდ გავლენას ახდენენ ინდივიდების კეთილდღეობაზე. გლობალური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი პრობლემების მეცნიერული განზოგადოება და საჭირო რეკომენდაციების შემუშავება ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის პროცესს, სიღარიბის დაძლევასა და გლობალური პროცესების სამართლიანად წარმართვას.

17-21 ივნისს იტალიის ქალაქ ტორინოში გაიმართა ფემინისტ ეკონომისტთა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გლობალურ ეკონომიკის პრობლემებს გენდერული თვალსაზრისით განიხილავდა.

კონფერენციას მასპინძლობდა ტორინოს უნივერსიტეტი, რომელიც მე-14 საუკუნიდან ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან უმაღლეს დაწესებულებად. შთაბეჭდილი იყო ულამაზესი არქიტექტურითა და რენესანსის ეპოქის საუკეთესო ფერწერული ტილოებითა და ქანდაკებებით დამშვენებული უნივერსიტეტის ადამიანტრაციულ შენობაში გამართული კონფერენციის ყოველი დღე.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტები. მოისმინეს და განიხილეს 150-ზე მეტი მოხსენება, რომლებიც გენდერული ეკონომიკის სხვადასხვა პრობლემებს ეხებოდა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ზოგიერთი მოხსენება, კერძოდ: დიდი ბრიტანეთის ესექსის უნივერსიტეტის პროფესორმა დაინა ელსონმა, შოტლანდიის გლაზგოს კალედონიის უნივერსიტეტის პროფესორმა აილსა მეკემ და ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორმა ედიტ კუპერმა ისაუბრეს ეკონომიკური ზრდის ახალ ტენდენციებისა და გენდერული ბიუჯეტის ინტეგრირების შესახებ.

ზრუნვის ეკონომიკის, არაანაზღაურებადი საქმიანობის როლი ეკონომიკაში, მისი ღირებულებითი შეფასება, ბაზრის სტრუქტურის გენდერული დახასიათება წარმოდგენილი იქნა დიდი ბრიტანეთის ლიდისის უნივერსიტეტის პროფესორის კუიკო კუსაბაკეს, ავსტრალიის ადელაიდის უნივერსიტეტის პროფესორ რონდა შარპის, მასაჩუსეტის უნივერსიტეტის პროფესორის ნენსი ფოლბრის მოხსენებებში.

გლობალური ეკონომიკისთვის დამახასია-

ათებული შრომითი მიგრაციის ტენდენციებზე ისაუბრეს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ელკე პოლსტიმ და კორნელის უნივერსიტეტის პროფესორმა ლონდრის ბენერმა.

აშშ-ის ილინოისის უნივერსიტეტის უხუცესმა პროფესორმა მარიანა ფერბერიმ აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში აშკარად შეიმჩნევა გენდერული პრობლემებისადმი დიდი დაინტერესება. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების განვითარება შეუძლებელია, თუ კვლევები ამ მიმართულებით არ წარმართება. წარსულს ჩაბარდა ის მიდგომა, როდესაც ფემინისტები მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვის ლოზუნგით გამოდიოდნენ. დღეს არავინ უარყოფს, რომ აუცილებელია გენდერული თვალსაზრისით ისეთი ეკონომიკური ფაქტორების შესწავლა, როგორცაა: რესურსების გამოყენება და კონტროლი, დასაქმება შრომის ბაზარზე, საკუთრების უფლებების რეალიზაცია, ფინანსური ბერკეტების მართვა და სხვ. საკითხების ინსტიტუციური, სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და გეოგრაფიული კონტექსტის გათვალ-

ისწინებით. გენდერულად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გარანტია.

ტორინოს საერთაშორისო კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ 2010 წელს ფემინისტ ეკონომისტთა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართოს თბილისში, რომელიც მიეძღვნება ტრანზიციული ქვეყნების ეკონომიკური რესტრუქტურისა და გლობალურ ეკონომიკაში მათი ინტეგრირების პრობლემებს.

ბოლოს, მსურს მადლობა მოვახსენო უნივერსიტეტისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხელმძღვანელებს, რომ საშუალება მომცეს მონაწილეობა მიმდებარე მეთად მნიშვნელოვან კონფერენციაში და თავადაც მესაუბრა გლობალური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი შრომითი მიგრაციის ტენდენციებზე.

ჩარიტა ჯაშვი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
პროფესორი



## „კავკასიის თავისუფლება შეუქცევადი პროცესია“

ადამიანის უფლებათა დაცვის III საერთაშორისო კონგრესი

ბასკეთის ევროპის ერების ინსტიტუტისა და მისი ქართველი ხელმძღვანელის თამარ გამილაღიშვილის ინიციატივით, თსუ-ის გამოცემლობისა და კავკასიოლოგიის მიმართულების პროფესორთა დელეგაციამ ბილბაოში საქართველოს ეთნიკური ჯგუფების ისტორიასა და თანამედროვე ეთნოკონფლიქტების თემატიკაზე იმსჯელა.

ადამიანის უფლებათა დაცვის III საერთაშორისო კონგრესი ბასკეთის ქალაქ ბილბაოში 8-14 ივნისს გაიმართა. აქედან ორი დღე კავკასიის საკითხების განხილვას დაეთმო, მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: ცირა ბარამიძე, თამარ უჯუჯუა, მერაბ ჩუხუა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლალი ეზუგბაია, ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მათა მანჯგალაძე, თსუ-ის პროფესორი, დოქტორი ნანა მატყვარიანი, თსუ-ის გამოცემლობის მთავარი რედაქტორი თამარ გულბანი, ნანა კაჭაბავა, ქეთევან ქურდოვანიძე.

### სათუნა სატიანოვილი

ბასკეთის ევროპული ერების ინსტიტუტი ევროპის მცირე ერების ეროვნული და კულტურული უფლებების დაცვის მიზნით ფუნქციონირებს. კონგრესზე საქართველოსთან ერთად დელეგატები ჩრდილო კავკასიიდანაც იყვნენ მინეველი. როგორც ქართული დელეგაციის წევრმა ქეთევან ქურდოვანიძემ განაცხადა, ჩრდილო კავკასიელთაგან ბილბაოში მხოლოდ ერთმა მოხსენებელმა ტაისა ისაევამ მოახერხა ჩასვლა, რადგან დანარჩენების ვიზიტი გაუგებარი მიზეზების გამო ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაბლოკა. კონგრესის მონაწილეების შეფასებით, რუსეთის ფედერაციას და მასთან ინტეგრირებულ ადგილობრივ სახელისუფლებო სტრუქტურებს არ სურთ, ევროპაში გახმაურდეს, რომ ჩრდილო კავკასიელი ხალხების უფლებებს ძირითადად რუსული მხარე არღვევს.

„ამის მიუხედავად, ქართული დელეგაცია შეეცადა, შეძლებისდაგვარად წარმოედგინა ჩვენი მეზობელი და მონათესავე ერების — ჩრდილო კავკასიელების პრობლემები. ქართველებმა კონგრესზე საკუთარ პრობლემებთან ერთად გაახმაურეს ის საკითხებიც, რაზეც უნდა ესაუბრაო ჩვენებს, ინგუშებს, დაღესტნელებს, ლეზგებს.



კარგად გვესმის, რას ნიშნავს, როდესაც მცირე ერები განიცდიან დევნას, ეთნოწმენდას, როდესაც მათ ძალით იძურობენ და თავს საკუთარ ინტერესებს ახვევენ“, — აღნიშნა ქეთევან ქურდოვანიძემ.

თსუ-ის კონგრესზე კავკასიოლოგმა პროფესორებმა ისაუბრეს ლეზგების, ინგუშების, დაღესტნელების, ჩერქეზების ეთნოკრიზისის, კულტურული მემკვიდრეობისა და მათი განვითარების პერსპექტივების შესახებ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლალი ეზუგბაიამ მოხსენება აფხაზების თემაზე წაიკითხა. საუბარია ინგილოების, სვანების, მეგრელების, ლაზების შესახებაც. განსაკუთრებული ინტერესი კი ჩვენს ყურნალისტის ტაისა ისაევას

წარმოდგენილმა მასალამ გამოიწვია. მან კონგრესზე აღნიშნა, რომ ჩვენთვის, რუსეთის ფედერალური ჯარების მხრიდან, უხეშად გამოვეყვანა ადამიანის უფლებები, რაც ძალიან ჰგავს „სამშვიდობო მისიით“ აფხაზეთში მოქმედი სამხედრო ძალების უკანონო ქმედებებს.

კონგრესში მონაწილე ევროპული ქვეყნების დელეგაციებმა და თავად ბასკების წარმომადგენლებმა კავკასიის რეგიონში მცხოვრები ერების პრობლემებს მხარდაჭერა გამოუცხადეს. ერთ-ერთმა ბასკმა გამოხატული იქნა ისიც აღნიშნა, რომ დღევანდელი სახით ჩამოყალიბებამდე ბასკი საზოგადოება ყველა დონეზე მონაწილეობდა საერთაშორისო დონის დიპლომატიის, რათა საკუთარი პრობლემებისკენ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიექცია.

კონგრესზე მცირე ერების უფლებების დარღვევისა და სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობისას გამოიკვეთა პოზიცია, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მცირე ერების თვითგამორკვევისა და კულტურული განვითარების პროცესს აფერხებს.

კონგრესის მსვლელობისას მოეწყო პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობის მიერ ახლად დასტამბული წიგნებისა და სახელმძღვანელოების: „იბერიულ-იქერიული ენათა შედარებითი გრამატიკა“, „ენათმეცნიერების თეორიული კურსი“, „საქართველოს ისტორია“.

მცირე ერების განვითარება-გადარჩენის პერსპექტივების თემაზე გაიმართა „მრგვალი მაგიდა“, სადაც ითქვა, რომ კავკასიის რეგიონში შექმნილი კაბალური მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ ნატოსთან ინტეგრაციის გზით და საქართველო უკვე ამ გზაზე დგას. დისკუსიაში მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საქართველოს სამომავლო წარმატება დიდ გააღწევის მოახდენს, ზოგადად, კავკასიაში არსებულ ვითარებაზე. უფრო მეტიც, ჩრდილო კავკასიელებს ეყოლებათ მეზობელი სახელმწიფო, რომელიც გაცილებით აქტიურად იზრუნებს მათი უფლებებისთვის, რაც რუსეთს აწინებს. „კავკასიის თავისუფლება შეუქცევადი პროცესია“, — ითქვა შეხვედრაზე.



# საჭიროა ქართული კულტურის მეტი პოპულარიზაცია

„ბაბილონის გოდოლის დანგრევის შემდგომ უფალმა იწება, რომ დედამიწაზე ეცხოვრა არა ერთი, არამედ მრავალ ერს და ყოფილიყო მრავალი ენა. თითოეულ ერს მიეცა საპატრონოდ ნაწილი დედამიწისა, რომელსაც სამშობლო ეწოდება. ყოველი ერი, რომელსაც აქვს ტერიტორია, ვალდებულია, თავისი ენა და კულტურა თავის მინა-წყალზე გაავრცელოს“, — განაცხადა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა საუნივერსიტეტო ჯგუფის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე.

## შურთსია ბეროშვილი

როგორც მიტროპოლიტმა ლეკციის დასაწყისში აღნიშნა, ქართველობა ყოველთვის იბრძოდა ერთიანი სახელმწიფოს შესაქმნელად.

„ჯერ კიდევ ქრისტესობამდე, ეგრისის ერისთავ ქუჯის თანადგომით შექმნილ ფარნავაზის სამეფოში, რომელიც რვა საერისთავოს აერთიანებდა და ქართლის სამეფო ერქვა, არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულსა“. ისტორიულად საქართველოს ეკლესია წარმოადგენდა ძლიერ ძალას, რომელიც გამოხატავდა ერის ინტეგრაციას. ბაგრატი მესამის დროს საქართველო ჯერ სულიერად გაერთიანდა, შემდეგ — პოლიტიკურად. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ დაიწყო ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად“, — აღნიშნა ანანია ჯაფარიძემ.

მისი აზრით, თანამედროვე ერები განსხვავდება ძველი ერებისგან, რადგან ძველი ერები არსებობდნენ როგორც ეთნიკური ჯგუფები, ხოლო თანამედროვე ერებს თავიანთი სახელმწიფოები აქვთ.

„თუ ქართულმა მატთანეს კიდევ ერთხელ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ მრავალი წლის მანძილზე საქართველო დაყოფილი და დაშლილი იყო პოლიტიკურ ერთეულებად, 200 წელი კი რუსეთის კოლონიად ვიქცეით. დღეს ჩვენ უფალმა ღირსი გავხადა ერთიან ქვეყანაში ცხოვრებისა. მოდის ახალი თაობა, რომელიც ძველ დიდებას დაუბრუნებს ქვეყანას“, — განაცხადა მიტროპოლიტმა სტუდენტ-

ტებთან საუბრისას. მისი აზრით, ის ფაქტი, რომ დღევანდელ საქართველოშიც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, რომლებსაც თავიანთი ენა და კულტურა აქვთ, ძალიან კარგია, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ჩაკეტილი არიან თავიანთ კულტურაში. სამწუხაროდ, ამ ეთნიკური ჯგუფების ერთმანეთის ურთიერთობის ენა კვლავ რუსულია.

„რეალურად ჩვენ გვაქვს ქართული სახელმწიფო, მაგრამ მას არ შესწევს უნარი — თავისი კულტურის ქვეშ გააერთიანოს თავისი მოქალაქეები. ძველ საქართველოში, სანამ რუსები შემოვიდოდნენ, მხოლოდ ქართული კულტურა აერთიანებდა სახელმწიფოს. ყველა ლაპარაკობდა ქართულად. რუსეთმა ჩვენ წაგვართვა არა მარტო სახელმწიფო და ეკლესიის ავტოკეფალია, არამედ ერთიანი კულტურაც. ქართული ენა დღეს აღარ არის საყოველთაო ენა. თუკი ერთი დომინანტ ენად ვერ ჩამოყალიბდა და მას არ ექნა იმის უნარი და ძალა, რომ თავისი მსოფლმხედველობის ქვეშ მოაქციოს იმ ქვეყნის ეთნიკური ჯგუფები, ასეთი სუსტი ერები იმლებიან. თურქეთში ეთნიკურად ბევრი ქართველი ცხოვრობს, მაგრამ ისინი თავიანთ თავს თურქებს უწოდებენ.

ჩვენი მოვალეობაა, შევძლოთ საქართველოს კონსოლიდირებულ სახელმწიფოდ გადაქცევა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი მოგწვევით საქუთარ კულტურას და საკუთარ ენას, მაგრამ მან აუცილებლად უნდა იცოდეს ქართული ენაც“, — აღნიშნა მიტროპოლიტმა ანანია. მან თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა იმის თაობაზეც, თუ როგორ



უნდა დაიბრუნოს ქართულმა ენამ და კულტურამ პრიორიტეტი თავის ტერიტორიაზე.

მიტროპოლიტის აზრით, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ინტეგრაცია არ გულისხმობს იმას, რომ ეს ხალხები ქართველ ეთნიკურ ჯგუფებად გადაიქცევიან, არამედ ეს პროცესი გულისხმობს, რომ ისინი აღიარებენ საქართველოს საკუთარ სახელმწიფოდ.

„საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაციას ხელს უშლის ერთიანი კულტურის არარსებობა. კულტურა ხალხთა გამაერთიანებელი ძალა და ერთიანობის საფუძველია. ძველად, XIX საუკუნემდე ქართული კულტურა აერთიანებდა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხებს. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე ქართული ენა იყო კავკასიის ხალხებს შორის საერთაშორისო ენა. ქართულ ენაზე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს დაღესტნელები, დიდოელები, ლეკები...ქართული ენა იცოდნენ ჩეჩენი და ადიღელი ხალხების დიდ-

ბულებმა. ამჟამად კი ქართულმა ენამ და კულტურამ საქართველოშივე დაკარგა ერთაშორისი ურთიერთობის ფუნქცია. ფაქტობრივად, საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე ტოლხარისხოვანი კულტურა: ქართული, რუსული, სომხური და სხვა კულტურები. ყველა ისინი, რუსულის გარდა, თავიანთ ეთნოჯგუფებში არსებულ ჩაკეტილ სისტემებს წარმოადგენენ. მხოლოდ რუსული კულტურა აერთიანებს საქართველოში არსებულ სხვადასხვა კულტურებს. ეს ეროვნული ტრადიციები, რაც ხელს უშლის საქართველოში მცხოვრები ხალხების ინტეგრაციას. ამიტომ საჭიროა წარსულის იმპერიალისტური მემკვიდრეობის დაძვინჯვა, ანუ ქართული კულტურის მეტი პოპულარიზაცია. ქართულ ენას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს რუსულთან და სხვა ენებთან შედარებით. ძველად საქართველო ის ტერიტორია მიიჩნეოდა, სადაც ქართულ ენაზე აღველინებოდა ლოცვა. ჩემი აზრით, საქართველოში სატელევიზიო გადაცემები მხოლოდ ქართულენოვანი უნდა იყოს.

გლობალიზაციის საყოველთაო პროცესის საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას — კულტურულ და ცნობიერ კავშირს ისტორიულ ფესვებთან. სახელმწიფო ქვეყანაში უნდა გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრიობა რეალურად უნდა განხორციელდეს. ჩემი აზრით, საქართველო უფრო მეტად უნდა მოემზადოს გლობალიზაციის პროცესთან შესახვედრად.

ქვეყანა არ უნდა დაიყოს რეგიონებად კუთხური ნიშნით. ამან შესაძლოა, ხელი შეუწყოს სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგობას (მაგალითად, როგორც ეს მოხდა ენ. სამხრეთ ოსეთში). ასეთი მიდგომა ხელს შეუშლის ქართველი ხალხის კონსოლიდაციას და საქართველოში მცხოვრები ეთნოჯგუფების ინტეგრაციას საქართველოს მოქალაქეებად, — აღნიშნა ანანია ჯაფარიძემ თავის გამოსვლაში.

# რამდენად უნდა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა გავლენა სასამართლო პროცესზე?

## თამარ მარუაშვილი

20 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტის „ნაფიც მსაჯულის“ ირგვლივ საჯარო დებატები გაიმართა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში საუნივერსიტეტო წრეებში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები და კამათი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ. მონაწილე სტუდენტთა ერთი ნაწილი განუწყვეტლივ ამტკიცებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრების აუცილებლობას ქართულ სასამართლოში, რადგან თვლის, რომ ეს ინსტიტუტი მიუკერძოებლობის ეფექტური გარანტიაა. ამის საპირისპიროდ, მეორენი მას სასამართლო პროცესის შემაფერხებელ სეგმენტად თვლიან.



პროექტი მიზნად ისახავს ინფორმირებას ნაფიც მსაჯულთა სისტემის შესახებ, სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართვას და გააქტიურებას ამ საქმიანობაში.

ფართომასშტაბიან სადისკუსიო შეხვედრას ესწრებოდნენ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა

ასლანიშვილი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დათო კერესელიძე და თსუ-ის ასოციირებული პროფესორი თეა შავყულაშვილი.

საკითხში უკვე კარგად გათვითცნობიერებული სტუდენტებისგან შედგა მოდერბატეთა ორი ჯგუფი. საჯარო დებატს უძღვებოდნენ მოდერატორები, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ქეთი ვარდოსანიძე და არჩილ ცერცვაძე, რომლებიც სვამდნენ შეკითხვებს და განსაზღვრავდნენ დებატების თანმიმდევრობას.

დებატებში აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტებიც. საუკეთესოთა გამოსავლენად პროექტის განხილვას კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისია აკვირდებოდა. ისინი შემდეგი კრიტერიუმებით შეიარჩნენ: სტუდენტის გამოსვლა უნდა ყოფილიყო დახვეწილი, გასაგები, ინფორმაცი-

მონაწილეობა არ მიიღონ? რამდენად უნდა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა გავლენა სასამართლო პროცესზე?

პრობლემის არსი ის გახლავთ, რომ შეინიშნება საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ, რაც გადანაცვლებების მიღების პროცესს ართულებს, ინტერესს კი უფრო და უფრო ზრდის.

როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი აღნიშნა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოადგენს ბრალდებულის უფლებას. გარდამავალ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა გათვალისწინებული იქნება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის დანაშაულების მიმართ (საუბრაია სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლზე).“

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პროექტის მიხედვით, შედგება 12 მსაჯულისაგან, რომელთა შერჩევა მოხდება ერთიანი საარჩევნო სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მხარეებს უფლება ექნებათ, დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი აცილება მისცენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კანდიდატებს. ნაფიც მსაჯულები გადანაცვლებას იღებენ მხოლოდ პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობის შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი შეიძლება გასამართლდეს მხოლოდ საკასაციო წესით საქმის განხილვისას დაშვებულ სამართლებრივ შეცდომებთან დაკავშირებით, — განაცხადა ზაზა მეიშვილი.

თუ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენი არ იქნება სამართლებრივი, მაშინ საზოგადოების ნდობის ფაქტორი ამ ინსტიტუტის მიმართ დაბალი იქნება. სამართლიანობის გაცდამა უნდა აამაღლოს საზოგადოების ნდობის ფაქტორი. მართალია, ეს მოკლე დროში არ მოხერხდება და ამას საზოგადოების ინფორმირება სჭირდება, მაგრამ პროცესი ხომ უნდა დაიდრას?

პროექტის „ნაფიც მსაჯულის“ საჯარო დებატები შეჯერდა და შედგება, 8 ივლისს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა დასკვნითი ღონისძიება გამართეს.


ღონისძიებას ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები, პროექტის ორგანიზატორები და მონაწილე სტუდენტები.

# ნიკო კაცხოვილი: „ვაბან მამასახლისოვის ლეიციუს და შოკინის მუსიკას მე ერთდროულად წარმოვიდგინე სოლმე“

25 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების ინიციატივით გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ვაგან ივანეს ძე მამასახლისოვის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალური სხდომა გაიმართა. სხდომის დასაწყისში დამსწრე საზოგადოებამ ვაგან მამასახლისოვის შვილის სანდრო მამასახლისის ხმის ჩანაწერი მოისმინა, სადაც ბატონი სანდრო მამის გამორჩეულ თვისებებსა და მის პროფესიონალიზმს იხსენებს.

## მანია ტორაძე

ვაგან მამასახლისოვი ქართველ ფიზიკოსთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც უდიდესი და განმსაზღვრელი როლი შეასრულა საქართველოში თანამედროვე ფიზიკის განვითარებაში.



იგი 1907 წლის 5 დეკემბერს დაიბადა. 1925 წელს ჩაირიცხა რუსულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა, ოჯახის ხელმოკლეობის გამო, იძულებული გახდა მიეტოვებინა ინსტიტუტი და მუშაობა დაეწყო ამიერკავკასიის ფეხოსანთა სკოლის ბიბლიოთეკის თანამშრომლად. 1927 წელს იგი აღადგინეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტად – პირდაპირ მე-2 კურსზე. უმაღლეს მათემატიკაში ლექციებს ანდრია რაზმაძე უკითხავდა, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს პროფესორი კოტე მარჯანიშვილი უტარებდა. ამ უკანასკნელმა ყურადღება მიამართა ბატონ ვაგანს, რომელიც გამოირჩეოდა მუყაითობით და მათემატიკური ნიჭით და ურჩია უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე გადასვლა. აქ მათემატიკის სწავლებას ხელმძღვანელობდა ანდრია რაზმაძე, რომელიც ნიჭიერი სტუდენტის გადმოსვლას მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, თუ ვაგან მამასახლისოვი მას უნივერსიტეტის პროგრამით მათემატიკური ანალიზის კურსს ჩააბარებდა.

ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ ვაგან მამასახლისოვი განსაკუთრებით ლეღვად ამ გამოცდის ჩაბარებისას. ეს იყო მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტი, რომელმაც განაპირობა მთელი მისი მოღვაწეობის გზა. ანდრია რაზმაძე გამოცდით კმაყოფილი დარჩენილა და 1927 წლის დეკემბრიდან ვაგან მამასახლისოვი თსუ-ის პედაგოგიური ფაკულტეტის მათემატიკური განყოფილების მე-2 კურსის სტუდენტი გახდა.

1925-30 წლებში ნიკოლოზ მუსხელიშვილმა ჩამოაყალიბა სამეცნიერო სემინარი (ნ. ნიკოლაძესთან და ა. ხარაძესთან ერთად), რომლის მუშაობაში მონიშნულ სტუდენტებშიც მონაწილეობდნენ. მათგან ბევრი მომავალში გამოჩენილი მეცნიერი გახდა (ი. ვეკუა, ვ. კუბრაძე, ვ. ჭელიძე, ა. რუხაძე, შ. მიქელაძე, ე. ხარაძე და სხვ.). მათ შორის იყო ვაგან მამასახლისოვი.

1930 წელს მან უნივერსიტეტი დაამთავრა და პროფესორ კოტე მარჯანიშვილის რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე.

1933 წლიდან ვაგან მამასახლისოვი მიემგზავრება ლენინგრადში ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსის გასავლელად. სწორედ ამ პერიოდში დგამდა პირველ ნაბიჯებს ბირთვული ფიზიკა და ვაგან მამასახლისოვმა დაიწყო მეცნიერული მუშაობა სწორედ თეორიულ ბირთვულ ფიზიკაში. 1936 წელს ვაგან მამასახლისოვმა დაამთავრა ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ატომბირთვის თეორიის დარგში. ნაშრომი ეხებოდა „დეიტრონის ფოტოგახლეწას“. მანამდე არსებულ თეორიულ მოდელში, რომელიც ეკუთვნოდა ნობელის პრემიის ლაურეატს ბეტეს და პაიერლსს, მხედველობაში არ იყო მიღებული პროტონ-ნეიტრონის ურთიერთქმედების რადიუსი. ვაგან მამასახლისოვმა დაასაბუთა ურთიერთქმედების რადიუსის გათვალისწინების აუცილებლობა დეიტრონის ფოტოგახლეწის პროცესში. ეს ვაგან მამასახლისოვის პირველი ნაშრომი იყო, მაგრამ წარმოადგენდა მნიშვნელოვან წვლილს ატომბირთვის თეორიაში. ეს ნაშრომი, მეცნიერული ღირებულების გამო, სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულია. მაგალითად, 1953 წელს ე. სეგრეს რედაქციით გამოცემული ფუნდამენტური ორტომეული ნინასიტყვაობაში ვაგან მამასახლისოვის ეს შრომა მოხსენიებულია გამოჩენილი მეცნიერების – ბეტეს, ფერმის, პაიერლსის, შვინგერის, ლევიჩერის, შიფის, ბრეიტის და სხვათა შრომების გვერდით.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ვაგან მამასახლისოვი საქართველოში დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიკოსმა ა. იოფემ და პროფესორმა ი. კურჩატოვმა მას ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში დარჩენა შესთავაზეს. ამ ფაქტის გამო აკადემიკოსმა დაეფიქტა ანდრონიკაშვილმა განაცხადა: „ვაგანი, ეროვნებით სომეხი, დიდი ქართველი ფიზიკოსია, რადგან ის ყოველთვის საქართველოს საქმეს აკეთებდა“.

37 წლიდან ვაგან მამასახლისოვი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე. მისი ფელმდეანელობით ეს კათედრა მოკლედროში მეცნიერების განვითარებისა და კადრების აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ კერად გადაიქცა.

1937 წელს თეორიული ფიზიკის კათედრაზე ბატონი ვაგანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სემინარი, რომელიც რეგულარულად მუშაობდა უნივერსიტეტში განხორციელებულ რეფორმამდე. სემინარი იყო საუკეთესო სამუშაო გარემო, სადაც ესა თუ ის მეცნიერული მოსაზრება მკაცრ ექსპერტიზას გადიოდა.

1943 წელს ვაგან მამასახლისოვმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. 1944 წლიდან 1953 წლამდე იგი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი იყო. მან იმ დროისთვის მრავალი გაბედული ნაბიჯი გადადგა ფიზიკის განვითარებისათვის უნივერსიტეტში.

1955 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს – ნამდვილ წევრად.

სიცოცხლის ბოლო წლებში ბატონი ვაგანი ბევრს ავადმყოფობდა. იგი 1972 წლის 19 ივნისს გარდაიცვალა.

მემორიალურ სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ანზორ ხელაშვილმა გაიხსენა ვაგან მამასახლისოვის დამსახურება ქართული მეცნიერების მიმართ და განაცხადა, რომ მის ყველაზე დიდ მიღწევად ატომბირთვში ნუკლონთა ასოციაციების მოდელის დამუშავება მიიჩნევა. „ბირთვებში, როგორც მრავალნუკლონთა ძლიერად ურთიერთქმედ სისტემებში, თურმე შესაძლებელია ნუკლონთა დაჯგუფებების არსებობა. საინტერესოა, რომ ასეთ დაჯგუფებებს ატომბირთვი თვითონ არჩევს გამომდინარე მისი ენერგეტიკული სპექტრიდან. ნუკლონთა ზოგიერთი ასოციაციების სიმძიმის ცენტრები იმდენად ნაწივლებული, რომ თურმე ბირთვი, უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც უფრო მცირე ბირთვებისაგან შედგენილი. 1953 წლიდან მოყოლებული ქართველი ფიზიკოსები ვაგან მამასახლისოვის ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად ავითარებდნენ ნუკლონთა ასოციაციების მოდელს, რომელსაც შემდგომში კლასტერული მოდელი დაერქვა“, – განაცხადა მან.

სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ ვაგან მამასახლისოვის მოსწავლეები, რომლებიც მეცნიერის იხსენებდნენ, როგორც უდიდეს მოაზროვნესა და პედაგოგს.

ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა გილა სიხარულიძემ გაიხსენა, რომ ვაგან მამასახლისოვის ლექციებს, განსაკუთრებით „კვანტური ფიზიკაში“, აუდიტორიაში შემოჰქონდა თავისუფლების შეგრძნება და თვისებრივად ახალი ემოციური სამყარო. „იგი ნათლად გვიჩვენებდა, თუ როგორ გვაძლავს მეცნიერება, შემოვიტანოთ ახალი ცნებები და თეორიები, როგორ ხდება ტრადიციულ ფასეულობათა ძირეული გადაფასება და როგორი დრამატული კონფლიქტები ჩნდება პროგრესის გზაზე“, – განაცხადა გილა სიხარულიძემ.

აკადემიკოსმა თენგიზ სანაძემ გაიხსენა, თუ როგორი გავლენა ჰქონდა ვაგან მამასახლისოვის მის მოსწავლეებზე სიკვდილის შემდეგაც კი: „სტუდენტალურ წინ ვცნობობდი და ყოველ დღით მანქანით მოვდიოდი უნივერსიტეტში. ბატონი ვაგანი კი ყოველ დღით ფეხით მოდიოდა უნივერსიტეტში და

ყოველთვის არდევდა ფეხით მოსიარულთა წესს – პირდაპირ გადაკვეთდა ხოლმე გამზირს მისი სახლის სიახლოვეს. ძალიან ხშირად ბატონ ვაგანს შორიდან რომ მოეკრავდა თვალებს, მანქანას შევანებდები, რომ მისთვის გამეადვილებინა ქუჩის გადაკვეთა. ერთხელაც, მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, ისევ მანქანით მივდიოდი უნივერსიტეტში და იმ ადგილს შევხედე, სადაც ბატონი ვაგანი ქუჩას კვეთდა. უნებლიეთ თვალზე ცრემლი მომადგა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველამ, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა, მტკიცებულება განიცადა მისი ამ ქვეყნიდან წასვლა“, – ბრძანა მან.

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტმა რაფიელ ჩიქოვანმა ვაგან მამასახლისოვის უდიდესი მეცნიერი და პედაგოგი უწოდა და გაიხსენა, როგორი ყურადღებიანი მკაცრი და სამართლიანი იყო იგი სტუდენტებთან ურთიერთობაში. „ზოგად ფიზიკაში გამოცდას ვაბარებდით ბატონ ვაგანს. ჩვენთან ერთად გამოცდას აბარებდა დამამთავრებელ კურსზემყოფი გოგი ჩიქოვანი. როდესაც ის საპასუხოდ დაჯდა, ერთ მომენტში სტუდენტი და გამოცდილი ნაკამათდნენ. გოგი რაღაცაში არ დაეთანხმა ბატონ ვაგანს. ის ნარბეჭურული უსმენდა სტუდენტს, შემდეგ გაიღიმა, გამოართვა ჩათვლის ნიგნაკი და ხოთიანი დაუწერა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ბატონ ვაგანს უყვარდა მოაზროვნე სტუდენტები და მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა მას, ნიჭიერებას ყოველთვის აფასებდა“, – განაცხადა რაფიელ ჩიქოვანმა.

ვაგან მამასახლისოვი გაიხსენეს ფიზიკოსებმა – გივი ქანთარიაძემ, ირაკლი მაჩაბელმა, გივი ნიკობაძემ, თემურაზ კოპალეიშვილმა. ყველა მათგანმა სიამაყით მოიგონა ის წლები, როდესაც ურთიერთობა ჰქონდათ ამ გამორჩეული ნიჭის ადამიანთან.

ბატონი ვაგანის პედაგოგიური პრინციპი სტუდენტის უნარების წარმოჩენა იყო. მისი ლექციები კი ეყრდნობოდა უდავო ჭეშმარიტებას: „სტუდენტი ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა შეავსო, არამედ ჩირაღდანი, რომელიც უნდა აანთო“. ამის გამო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ამბობდა: „ვაგან მამასახლისოვის ლექციებს და შოკინის მუსიკას მე ერთდროულად წარმოვიდგინე სოლმე“.

## სტუდენტური კონფერენციისა ძრისტინანულ კვლევებს მიექცვნა

23-24 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქრისტინანული ეკლესიის ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრის პირველი რესპუბლიკური კონფერენცია სარაჯიშვილის სახელობის აუდიტორიაში გაიმართა.

## შურთსია ბაროშვილი

როგორც ეკლესიოლოგმა, პროფესორმა ქეთევან პავლიამ-ვილმა განაცხადა, ამგვარი კონფერენციები საფუძველს დაუდებს ივანე ჯავახიშვილის ნანატრ და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ განუხორციელებელ ოცნებას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ წმინდა ადგილას, დაფუძნდეს ისეთი მიმართულება და ისეთი დარგი, რომელიც ქრისტინანობას შეისწავლის...

„ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვენი კულტურა სწორედ ქრისტინანობაზე იყო დაფუძნებული. დღეს საფუძველი ყვრება ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას, რადგან ეს რესპუბლიკური კონფერენცია არა მხოლოდ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, არამედ, ზოგადად, საქართველოს ისტორიაში პირველი ახალგაზრდული სტუდენტური კონფერენციაა, რომელიც ქრისტინანულ კვლევებს ეძღვნება. ამ თემატიკით ახალგაზრდების დაინტერესება ბუნებრივი მოვლენაა, მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ ისტორიკოსები, არამედ იურისტები, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის მომავალი სპეციალისტები, ფილოსოფოსები, ფილოლოგები. როგორც არასდროს, საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება ამ სფეროში სპეციალისტები და ექსპერტები“, – აღნიშნა ქეთევან პავლიამ-ვილმა. მისი ინფორმაციით, ქრისტინანობის ის-

ტორიის კვლევის სტუდენტური სამეცნიერო წრის გადამწყვეტილებით, კონფერენციის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სამახსოვრო სიგელით.

სტუდენტებს პროფესორებმა: გიორგი ოთხმეზურმა და გიორგი პაპუაშვილმაც მიმართეს.

„ყველაფერი, რაც კი ღირებული შეუქმნია ქართველ ერს, ქრისტინანობაზეა დამყარებული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე სწორედ ქრისტინანობის წყალობით მოვედით, ყველა დამპყრობელი პირველ რიგში იმას ცდილობდა, შეებლავა ჩვენი სარწმუნოება. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ კონფერენციაში ახალგაზრდობა მონაწილეობს“, – განაცხადა გიორგი პაპუაშვილმა.

კულტურა არის ჭეშმარიტების ძიება, ქრისტინანობა და ქრისტეს მცნებების დაცვა ჭეშმარიტი კულტურის გზაზე დგომას ნიშნავს, – აღნიშნა კონფერენციაზე.

## ვახტანგ ხორბალაძის სსოვნას

გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის დირექტორი ვახტანგ ხორბალაძე. იგი თითქმის ნახევარი საუკუნე უანგაროდ ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, პოლიგრაფიას. ბატონი ვახტანგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბას, სადაც ეწყობოდა და იბეჭდებოდა პროფესორ მასწავლებლებისა და თანამშრომლების ნიგნები, რეფერატები, ბროშურები და სხვადასხვა სახის გამოცემები.



ვახტანგ ხორბალაძე ყოველთვის გამოირჩეოდა გულისხმიანობითა და საქმის პროფესიონალიზმით. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებსა და სტამბის კოლექტივში. ჩვენ ხშირად ვიხსენებთ მას მისი კეთილი საქმეების გამო.


უ. ჭოჭუა, გ. ხოსიშვილი, ს. ახსიაშვილი, ა. ტერეშაძე, ვ. ტორიაშვილი, ი. ერაძე, თ. ბეგაშვილი

კალიფორნიის ეროვნულ ნაკრძალში, დამშრალი ტბის ფსკერზე, უშველებელი, თითქმის ნახევარტონიანი ლოდები უცნაურად დასერილობენ. ამ ნაკრძალს „სიკვილის ველს“ ეძახიან და იგი დედამიწაზე ყველაზე ცხელ ნერტივად ითვლება. მაგალითად, 1917 წელს აქ ტემპერატურამ +50 გრადუსს მიაღწია და იგი ორმოცდასამ დღეს აღინიშნებოდა. ლოდები ნელა, ხანდახან ზიგზაგით მოძრაობენ, ათეულობით მეტრს გადაინ და ქვიშარაში აშკარად შესაძენე კვალს ტოვებენ. ისინი ზედაპირზე ისე მშვიდად მისრიალებენ, თითქოს უხილავ ძალას მიჰყავდეს. სპეციალისტებმა არა ერთჯერ სცადეს ლოდების მოგზაურობის დაფიქსირება, მაგრამ მათი მოგზაურობის მომენტში დანახვა ვერაფერს მოახერხა. ამასთან, საკმარისია მზვერავმა თვალი მოაშოროს, რომ ლოდი ისევე მოძრაობას იწყებს და ხანდახან ერთ საათში მეტრ ნახევარსაც კი ფარავს.




სხვადასხვა ქვეყნის სწავლულებმა ქსელში 2007 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების სია გამოაქვეყნეს, რომელიც ასე გამოიყურება:

1. ადამიანის გენომის ვარიაციების გამოკვლევა.
2. ზეუბალესი ვარსკვლავის აფეთქების დაფიქსირება.
3. ასობით ახალი ბიოლოგიური არსებების აღმოჩენა.
4. ადამიანის გულის სარქველის შექმნა.
5. მზის სისტემის მსგავსი სამი ვარსკვლავური სისტემის აღმოჩენა.
6. გიგანტური დინოზავრის პოვნა.
7. ჩვენი პლანეტის ყველაზე უხუცესი წარმომადგენლის მოძებნა.



კობეს უნივერსიტეტის (იაპონია) მკვლევარ-ასტრონომებმა, პროფესორ ტადასი მუკაის და გერმანელი მეცნიერის პატრიკ ლიკავის ხელმძღვანელობით, მზის სისტემაში მეცხრე პლანეტის არსებობა გამოთვალეს. მეცნიერებმა კომპიუტერის დახმარებით შექმნეს მოდელი, რომელიც ოთხი მილიარდი წლის მანძილზე მზის სისტემის ციური სხეულების ორბიტათა ცვლილებებს აფიქსირებდა და აშკარად დაინახეს, რომ არსებული თეორიები მერკურისა და ნეპტუნის ორბიტების ცვლილებებს ვერაფრით ხსნიდა. მაგრამ, როგორც კი „იდუმალე პლანეტა იქსის“ არსებობა დაუშვეს, განაგარიშებებში მოულოდნელად ლოგიკა და თანამიმდევრულობა გაჩნდა. ასტრონომთა ჰიპოთეზის მიხედვით, ეს პლანეტა ნეპტუნის მიღმა უნდა იყოს. მისი მაქსიმალური რადიუსი 15-26 მილიარდი კილომეტრია, ორბიტა ელიფსური, წონა დედამიწის 30%-70%, დიამეტრი კი 10-16 ათასი კილომეტრი ივარაუდება. მეცნიერთა აზრით მისი ზედაპირი კლდოვანი ქანებითა და ყინულით უნდა იყოს დაფარული.



კომპანია Google-ის მიერ შექმნილი უმსხვილესი ელექტრონული ბიბლიოთეკის ირგვლივ სკანდალი არა და არ ცხრება. ამჯერად, ნიუ-იორკის მწერალთა გაერთიანებამ, რომელიც რვა ათას მწერალს ითვლის, საავტორო უფლებების დარღვევისთვის კომპანიას სასამართლოში უჩივეს. მოსარჩელები ზარალის ანაზღაურებას და მომავალში ავტორთან შეთანხმებულად ამგვარი ქმედებების აკრძალვას ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ კომპანიამ რამდენიმე თვის წინ ორასი მილიონი დოლარით დააფინანსა ახალი პროექტი „მსოფლიო ინფორმაციის ორგანიზება და მისი მოპოვების პროცესის გამარტივება“, რის ფარგლებშიც სტენფორდის, ჰარვარდის, მიჩიგანის და ოქსფორდის ბიბლიოთეკების ციფრულ ფორმატში გადაყვანა დაიწყო. მისივე განცხადებით, ამ პროექტის თითქმის ათი წელი დასჭირდება. შარშან, ნოემბერში, ამ პროექტს უკვე აუმხედრდა რამდენიმე ჯგუფი და კომპანია საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. ამჯერად მათ რიგებს ნიუ-იორკის მწერალთა გაერთიანებაც შეემატა. თავად ინტერნეტ-ბიზნესის გიგანტმა კი განაცხადა — პროექტი მხოლოდ ავტორებსაც და გამომცემლობებს დაეხმარება, რადგან საზოგადოებას საჭირო ინფორმაციას მიაწვდის და მწერალთა გაერთიანება კონსულტაციებზე მიიწვიას.




ქალაქ ბარსელონაში უცნაურ მოვლენას დიდი ხმაური მოჰყვა. ძმები რამირესები დისკოთეიდან მოპედით ბრუნდებოდნენ, როდესაც მათ ტაქსი დაეჯახა და ისეთი ძვირფასი მძიმე ტრავმები მიიღეს, რომ სასწაულით გადარჩნენ. რამდენიმე თვე ძმები ჰოსპიტალში მკურნალობდნენ. როგორც კი საავადმყოფოდან გამოწერეს, მეგობრების ნახვა მოისურვეს, ქუჩაში გამოვიდნენ და... იგივე ტაქსის ბორბლების ქვეშ აღმოჩნდნენ.



ლონდონის საიმპერიო კოლეჯის თანამშრომლები აცხადებენ, რომ დედამიწაზე სიცოცხლე კოსმოსიდან „მოფრინდა“. მათი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ დნმ-ის შემდგენელი ნაწილები არამიწიერი წარმოშობისაა. ამ კვლევისას მათ ძალიან დაეხმარა მეტეორიტი მარჩისონი, რომელიც დედამიწაზე 1969 წელს ჩამოვარდა და რომლის შემადგენლობაშიც, სრულიად მოულოდნელად, ადამიანის გენეტიკური კოდის კომპონენტები აღმოაჩინეს. დოქტორ ზიტა მასტინის აზრით, ოთხი მილიარდი წლის წინ დედამიწა მეტეორიტებმა დაბომბა და სიცოცხლე სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა. კოსმოსურ სხეულებს შესაძლებელია დნმ-ის ან ცილის წარმოსაქმნელად აუცილებელი, მოლეკულის აზოტური საფუძვლები შემოეტანათ და ამით ევოლუციის პროცესის ნედლეულად გადაეცემალიყვნენ.




კორპორაცია Microsoft-მა ინტერნეტში ახალი პროექტი, „მსოფლიო ტელესკოპი“ განათავსა. ეს აბსოლუტურად უფასო ინსტრუმენტი დედამიწის და კოსმოსის რამდენიმე ტელესკოპის მონაცემებს და ფოტოსურათებს აერთიანებს. ამ პროგრამის დახმარებით, ყველას, ვისაც კი საკმაოდ ძლიერი პერსონალური კომპიუტერი და სწრაფი ინტერნეტი აქვს, შეუძლია პლანეტები მოიახლოს და ლამის ზეცაზე მისი ადგილმდებარეობა დაათვალიეროს. „შესანიშნავი ინსტრუმენტი, რათა ადამიანებში ასტრონომიისადმი ინტერესი გააღვიძოს, მგონია, რომ ამ პროგრამით პროფესიონალებიც ისარგებლებენ“, — განაცხადა კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასტროფიზიკოსმა როი უილიამსმა. დღესდღეობით, „მსოფლიო ტელესკოპის“ მომხმარებელს ოცდაათამდე სურათის ნახვა შეუძლია. მათ შორის რენტგენულ სპექტრში გადაღებული ფოტოებიც გვხვდება.



ნამდვილი შოკი განიცადეს მაიამის კლინიკის ექიმებმა, როდესაც ფეხშიმე ქალის ულტრაბგერითი გამოკვლევის დროს, ნაყოფი ეკრანზე ასეთი სახით გამოჩნდა.

ანალიტიკოსთა აზრით, უახლოეს მომავალში ადამიანის ურთიერთობა კომპიუტერთან თვისობრივად შეიცვლება და „მაუსი“ წარსულს ჩაბარდება, მაგრამ სიახლეების დანერგვას ხელს მომხმარებელთა კონსერვატიზმი უშლის. სპეციალისტების აზრით, ჩვეული „მაუსი“ მალე სენსორული მართვით შეიცვლება, ამის ნიშნები უკვე არსებობს და უახლოესი ორი-ოთხი წლის მანძილზე, მომხმარებელი ახალ ტექნოლოგიებზე აქტიურად გადაერთვება. კომპანია არტნერის წამყვანი სპეციალისტის პრენტიის აზრით, მათი და კლავიატურა ცოტა ხანს კიდევ იარსებებს ისეთი მარტივი ოპერაციების შესასრულებლად, როგორცაა, ვთქვათ, მონაცემთა ბაზაში ტექსტის შეყვანა. მაგრამ უფრო რთული, ვთქვათ, გრაფიკული ოპერაციებისთვის, უდავოდ ახალ ტექნოლოგიებს გამოიყენებენ. „მაუსის“ მომავალს სკეპტიკურად აფასებს კომპანია Endpoint Technologies პრეზიდენტი როჯერ კეიცი, თუმცა, მისი აზრით, მომხმარებლის აზროვნების გამოცვლა უფრო რთული იქნება, ვიდრე ახალი ტექნოლოგიის შექმნა. „რა თქმა უნდა, ახალ ტექნოლოგიას თავისი ფანატები გაუჩნდება, მაგრამ ის ადამიანები, ვისაც სიახლე არაფერში სჭირდება, უპირატესობას ტრადიციულ მეთოდს მიანიჭებენ. ხალხი ხომ ისეთმა წვრილმანებმაც კი შეიძლება დააფრთხოს, როგორც, ვთქვათ, ეკრანის დალაქავება ან გათხვრა შეიძლება იყოს“, — განაცხადა მან.



პრინსტონის უნივერსიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა აკადემიური ინსტიტუტების მკვლევართა ჯგუფმა ერთხმად აღნიშნა, რომ ბენზინის ნაცვლად მარცვლეული ერთობადაა მიღებული ბიოლოგიური საწვავის გამოყენება, ატმოსფეროში ნახშირბატი გაზების რაოდენობას თითქმის 93%-ით გაზრდის. ამის მიზეზი მსოფლიო მინათმომქმედებაში დიდი ცვლილებები შეიძლება გახდეს, რაც წინა გაანგარიშებებში არავის გაუთვლია. ბიოლოგიური საწვავის წარმოებისათვის, ეკონომიკური ფაქტორების გაგვენივთ, ფერმერები ყანებისთვის უფრო და უფრო მეტ ფართობებს გამოათავისუფლებენ, ეს კი ტყეებისა და ველების რაოდენობას მკვეთრად შეამცირებს. მეცნიერთა აზრით ეს ნახშირბატი გაზებად გამოანთავისუფლებს ნახშირორბანის იმ დიდ ნაწილს, რომელიც ახლა მცენარეებსა და ნიადაგშია დაკრული. გაზები ლობოსა და წვის შედეგად გაჩნდება, რაც საერთო ეკოლოგიურ მდგომარეობას მკვეთრად გააუარესებს. „ადრე მსოფლიო მინათმომქმედების ფორმების ცვლა არავის გაუთვლია, სწორედ ამიტომ, გლობალური დაბობის პროცესში, ბიოენერჯეტიკა დადებით მოვლენად ითვლებოდა“, — განაცხადა კვლევის ავტორმა ტიმ სერჩინგერმა.



კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა კომპიუტერული მესხიერების ახალი თაობა შექმნა, რომლის საშუალებითაც პორტატიული მონაცემილობები გაცილებით მეტი ინფორმაციის შენახვას შესძლებენ, ვიდრე ეს დღეს შეუძლიათ. ახალი ტექნოლოგია ისევე სწრაფად მუშაობს, როგორც თანამედროვე ფლეშები, მოცულობა კი მყარ დისკებს ბევრად აღემატება. ამ მესხიერებას პირობითად RM /racetrack memory/ დაარქვეს. შექმნილთა განცხადებით ახალი მონაცემილობა 3 ფორმატის 500 000-მდე სიმღერის ან 1,3 ათასი ვიდეოფილმის შენახვას შეძლებს, რაც დღევანდელს მინიმუმ ასჯერ აღემატება. ამასთან, ახალი პლური უფრო გამძლე იქნება და ნაკლებ ენერჯიასაც მოიხმარს.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

<b>მთავარი რედაქტორი</b>	ნინო კაკულია	<b>რედაქციის წევრები:</b>	ნოდარ ბელქანია, ვია მარაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნანა ჭილაძე, ნოდარ ხაღური, თემურ ნადარეიშვილი	<b>მისამართი:</b> ილია ჭავჭავაძის გამზ.1
<b>მთავარი სამცხალისტი</b>	მაია ტორაძე			<b>ტელეფონი:</b> 22 10 34
<b>ტექნიკური რედაქტორი</b>	მანანა ჯურხაძე			
<b>კომპიუტ. უზრუნველყოფა</b>	თამარ ქავჭავაძე			